ნაბეღლავი

140/
2003/2

2004

საქართველოს მოძეგალი

თბილისის 55-ე საშუალო
სკოლა, I კლასი,
სოლომბღვანელი
თამარ ხელაძე

თბილისის 192-ე საშუალო
სკოლა, II კლასი,
სოლომბღვანელი
მზია ადამაშვილი

თბილისის 192-ე
საშუალო სკოლა, I კლასი,
სოლომბღვანელი
ცირა ჯაში

თბილისის 192-ე საშუალო
სკოლა, II კლასი,
სოლომბღვანელი
ნათელა ბეგლარიშვილი

ნაკადული
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი
2003 წ. № 9

ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიქადულო მამულიშვილთა მესვეურობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნათელმარგალა ამოზრდილი. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და „პიონერი“ ეწოდა, 1990 წლიდან კი იგი ისევ თავისი პირველდელი სახელით გამოდის.

ნომრის შინაარსი

„ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი“ ---------- 2
რევაზ ინანიშვილი – თოვლის კაცი (მოთხრობა) ---------- 3
არაჩვეულებრივი ჩვეულებრივი სკოლა ---------- 5
ილია ჭავჭავაძე – ვის ნათესსა ვმკით (1879 წ. წინასაახალწლო მიმოწერა) -- 8
ტყეში დაზამთრდა ---------- 12
მსოფლიოს შვიდი საოცრება (კითხვა – თქვენი, პასუხი – ჩვენი) ---------- 16
გიმნაზია, ლიცეუმი, სემინარია, კოლეჯი ---------- 22
ტესტი. იუმორის საქმე როგორა გაქვთ? ---------- 24
12 ფაქტი „ტიტანიკის“ შესახებ ---------- 29
სიცილის გაკვეთილი ---------- 31
იწილო-ბიწილო ---------- 32

რედაქტორი
მანანა გელაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.
ინდექსი: 76157
ფასი 1 ლარი
რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში



„ნაკადულის" საინფორმაციო სამეგობრო „ფაქტი"

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და მოსწავლეები

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაციისა და საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული საქალაქო კონკურსი თემაზე „ომსაც აქვს შეზღუდვები" მოსწავლეთა მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საფუძვლების ცოდნის და ჰუმანიტარული ფასეულობებისადმი მათი დამოკიდებულების გამოვლენას ისახავდა მიზნად. კონკურსში დედაქალაქის 10 სკოლის 65 მოსწავლე მონაწილეობდა. კონკურსანტები, რომლებიც ადრე ერთმანეთს არ იცნობდნენ, 12 ჯგუფად გააერთიანეს და მათ სამ თემაზე ნახატებისა და თხზულებების შექმნა შესთავაზეს. ჟიურიმ გამარჯვებულად ოთხი ჯგუფი ცნო და შესაბამისადაც დაჯილდოვა მათი წევრებიც და კონკურსის დანარჩენი მონაწილეებიც.

შეიქმნება ახალი სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები

განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის ჩარჩოებში გამოცხადებული კონკურსების შედეგების საფუძველზე შექმნილი ცალკეული დარგობრივი ჯგუფების, კერძოდ კი ფიზიკური, ესთეტიკური და შრომითი აღზრდის ექსპერტებმა უკვე მოამზადეს აღნიშნული საგნების პროგრამები I-VI კლასებისათვის. მოკლე ხანში ასევეთივე პრინციპით ჩამოყალიბდება ისტორიისა და გეოგრაფიის ექსპერტთა ჯგუფები, რომლებიც ამ საგანთა სწავლო დისციპლინების პროგრამებზე და სახელმძღვანელოებზე იმუშავებენ.

„კაი ყმამ" ამერიკელებს უმასპინძლა

თბილისის ეროვნული კულტურის კერძო სკოლა „კაი ყმამ" ამერიკელ სტუმრებს უმასპინძლა, ესენი გახლდნენ საერთაშორისო ორგანიზაცია „ხსნის არმიის" მისიონერები სტივ და შარ პატერსონები, რომლებიც სოციალურად დაუცველ ფენებს ეხმარებიან და პენსიონერი მასწავლებლები სელი და დინ ჰეკინგსები, რომლებიც „ინგლისური ენის შემსწავლელ ცენტრში" უფასოდ ამეცადინებენ მსურველებს. ეს ამ ორი ოჯახური წყვილის მეორე სტუმრობა იყო „კაი ყმაში". მასპინძლებმა ამჯერადაც მოხიბლეს ისინი ქართული ხალხური სიმღერებითა და ცეკვებით, ამერიკული სიმღერები კი რომლებიც მათ საგანგებოდ ამ დღისთვის შეისწავლეს, სტუმრებმა და მასპინძლებმაც ერთად შეასრულეს. პატერსონებმა და ჰეკინგსებმა სკოლის ყველა მოსწავლეს საჩუქრად დაურიგეს ოქსფორდში გამოცემული ლექსიკონები და წიგნები, სკოლას კი ამერიკიდან სპეციალურად გამოგზავნილი სახელმწიფო დროშა გადასცეს.

„ჩიკო" სტუმრად ღამხმარე სკოლაში

უნარშეზღუდული ბავშვებისათვის განკუთვნილ თბილისის №1 დამხმარე სკოლას კულტურის ცენტრ „იმედთან" არსებული ბავშვთა ანსამბლი „ჩიკო" ეწვია. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის მიერ მოწყობილი ეს ღონისძიება ნამდვილ ზეიმად იქცა დამხმარე სკოლის 133 მოსწავლისთვის, რომლებიც საზოგადოებისგან ერთგვარად გარიყულად გრძნობენ თავს. ბავშვებმა ადვილად დაძლიეს ის თავდაპირველი უხერხულობა, რომელმაც შეხვედრის პირველ წუთებში იჩინა თავი და სულ მალე ყველა ერთად ცეკვავდა და მღეროდა.

რუსთავის მეთორმეტე სკოლას პუშკინის სახელი მიენიჭა

დაარსებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით რუსთავის №12 სამენოვან სკოლას ალ. პუშკინის სახელი მიენიჭა, იმავდროულად ის პუშკინის საერთაშორისო ასოციაციის წევრი გახდა. სულ მალე სკოლას ეწვევა მოსკოვის პუშკინის სახელობის №353 საშუალო სკოლის დელეგაცია. რუსთავის მე-12 სკოლაში სწავლება თავიდან რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, მოგვიანებით აქ აზერბაიჯანული სექტორი გაიხსნა, 1996-1997 წლებში კი დაწყებით კლასებში ქართული ენის სწავლება შემოიღეს. გარდა ამისა, სკოლის ბაზაზე მოქმედებს უკრაინული და სომხური საქველმოქმედო საკვირაო ჯგუფები. ყველაფერთან ერთად მოსწავლეები გაძლიერებული პროგრამებით სწავლობენ ქართულ ენას, საქართველოს ისტორიას და კულტურას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლის კაცი

რევაზ ინანიშვილი

მოთხრობა

გუშინ, ჩამობურუსებულ ნაშუადღევს, – ბურუსი რომ გაიჭრებოდა, ჩნდებოდა ტყიანი ქედების შეჭაღარავებული მწვერვალები, – ჩამოვედი აქ, ჩემს პატარა, მიტოვებულ ქოხში, დაღლილი, მხრებდაღუნული, იმ იმედით, რომ სოფლურმა მყუდროებამ იქნებ ცოტათი მაინც მომიფონოს გულზე, რომელზედაც, აი, უკვე მთელი თვეა, თითქოსდა მარწუხებს მიჭერენ ვიღაცანი. გუშინ, იანვრის ცამეტს, აქა-იქღა იდო დეკემბრის ბოლოს მოსული თოვლი, – მათ შორის ჩემს ეზოში, ჩემთან – ფეხდაუკარებელი, გადამტკიცული, გასპეტაკებული. დაცარიელებული იყო შარაგზა და ორღობე, გადაყინული, გაქვავებული – გუბეებად დამდგარი ტალახი, ძაღლებიც კი სადღაც სათვლემებში იყვნენ შემძვრალნი, საკვამურებზე ძლივს შეატყობდით სახლებს სიცოცხლეს, და მაინც ფრთხილ-ფრთხილად, ქურდული ფეხაკრეფით ვაპირებდი ჩვენი ორღობის გავლას, – აქ, ამ დროს, მამაკაცს ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებული ჰყავს ხელადა და ჭიქა, – მაგრამ ჩემმა პატარა მეზობლებმა, პატარა და-ძმამ,

ლელიკამ და ბერდომ, მაინც დამინახეს, მოცვივდნენ ფანჯარასთან, მოებჯინნენ ხელსგულებით და თითქოს ცხვირებითა და შუბლით ატეხეს კაკუნი. მე გავუცინე, თავი დავუხარე, გაშლილი ხელიც ავწიე საფეთქელთან და დავუქნიე... ერთი ცხოველის სათაკილო ყურივით. ისინი გასცილდნენ ფანჯარას, კარის ჯახუნით გამოცვივდნენ დერეფანში, ხელებუკანშემოწყობილებმა, უხერხულად გაჩერებულებმა დაიძახეს, – გამარჯობა! – და თითქმის უკლებლივ დამანახვეს ბრტყელი, თეთრი სავაშლე კბილები. მეც შევჩერდი, – გაგიმარჯოთ, – ვუთხარი ხმამაღლა, მერე მოვიკითხე: როგორ იყვნენ, როგორა ჰყავდათ დედ-მამა, პაპა და ბებია, ორიანები, სამიანები, ჩურჩხელები, კაკლები, თაგვები. ერთმანეთს მიეყუდნენ კუჭკუჭით:

– კარგად! კარგად!

– კარგადა გყავდნენ, დასუქებულები!

– ორიანებიც?

– აბა, მაშ როგორ?!

ერთხელ კიდევ მიეყუდნენ ერთმანეთს.

– დიდხანს უნდა დარჩეთ?

– დიდხანს! დიდხანს!

და წამოვედი, შემოვედი ჩემს დანაღვლიანებულ ეზო-ყურეში, – ქოხის მუქ ფონზე ფარფატებდნენ ეული, მოკრძალებული ფიფქები, ლელიკა და ბერდო კი ისევ დერეფანში იდგნენ და ახლა გაბრწყინებული თვალებით მინათებდნენ გზას.

ქოხში შემოსულმა ღონივრად დავაბრახუნე ფეხები. შეშინდნენ, გაიქცნენ, კუნჭულებში მიიბუზნენ სხვენში მოჯირითე თაგვები. შეშა დაჭრილი მქონდა, – დავჭერი ორი თვის წინათ, როცა უკანასკნელად ვიყავი აქ, – შევუკეთე ღუმელს, მივასხი ნავთი და მივეცი ცეცხლი. დაიწყო ღუმელმა გუგუნი, მე კი ჩანთიდან ამოვალაგე სანოვაგე და წიგნები, მოვიტანე წყალი, დავდგი ჩაიდანი ღუმელზე, დავიდგი პატარა სკამი, ჯერ ღუმელს მივეფიცხე და წავიხემსე ცოტა, მერე ავიღე წიგნი, ძველი, ძველად დაწერილი ზღაპარი, – უთუოდ ასეთ დროს, ზამთარში, როცა გარეთ ხეების ტოტებში ტკაცუნობდა ყინვა, მწერალი კი იჯდა ბუხართან და წერდა, – რა საოცარი სი-

გაგრძელება მე-4 გვ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვარულით უყვარდა პატარა, ლამაზ გოგონას თავისი ძმები, – რა ჯოჯოხეთში არ გავიდა მათი გულისთვის. დროგამოშვებით კითხვას თავს ვანებებდი და ვიყურებოდი ფანჯარაში. ფანჯრის იქით, კვლავ ნისლით იყო ჩამომძიმებული ჰაერი, კვლავ ჩამოდიოდა ეული თოვლის ფიფქები, მაგრამ ახლა უფრო ხშირად.

ჩემკენ ზურგმოქცეული ორი მაღალი სახლი ცივად იდგა ერთმანეთის გვერდით, არც ერთიდან არ ამოდიოდა კვამლი. ერთიდანაც ქალაქში არიან გადახვეწილები, მეორედანაც, – განაყოფი ძმები. სახლების ძირში, ნაბდისოდენად დარჩენილ თოვლში, ყოჩაღობდა უკვე კვირტებდაბერილი იასამანი, მოფრინდა იმ იასამანზე ჭრელი, ბუმბულაბუებული სკვინჩა და ივჯდა უძრავად, დაფიქრებული.

მერე დაღამდა, ხშირი თოვლი წამოვიდა, დერეფნის ნათურა ჩავრთე და სიამოვნებით ვუყურებდი ფაციფუცით ჩამომავალ ფიფქებს. ჩამიჩუმიც კი აღარ ისმოდა არსად. თუ ძალიან დავაყურებდი, მხოლოდ მაშინ გავარჩევდი ღელის ლიკლიკს ხევში, ჩემი ქოხი თითქოს კუნძულზე იდგა, ძლივს მოჟონავდა ჩემამდე სხვა სახლების შუქი ბურუსში.

კვლავ შევუკეთე შეშა ღუმელს, კვლავ ავიღე წიგნი, ხმამაღლა დავიწყე კითხვა: „საღამოს დარკინულ სანათურთან გედის ფრთა ატყლაშუნდა: ეს სულ უმცროსი ძმა იყო, მან იპოვნა საყვარელი და. გოგონა სიხარულისგან აქვითინდა“... გაბედავდნენ სხვენში, გადაიცუნცულებდნენ თაგვები, დავუბრახუნებდი

ფეხს და გაყუჩდებოდნენ ადგილზევე. ხან ხმის აწევით, ხანაც ჩუმად რაღაცას მიყვებოდა ღუმელი. მე ვერაფერს ვუგებდი და ვულიმოდი. უკვე ვგრძნობდი, თანდათან რომ მიშვებდნენ მარწუხებს გულიდან.

შუაღამემდე მაინც ვკითხულობდი და ვფიქრობდი. შუაღამისას, თორმეტ საათზე, დავწექი, ჩანელდა ღუმელი. გაბედეს და კვლავ დაიწყეს ცუცნცული თაგვებმა სხვენში, მაგრამ უკვე აღარაფერი დამიბრახუნებია, პირიქით, მსიამოვნებდა კიდევაც მათი ცუნცული და კაკლების გორიალ-გორიალი. მსიამოვნებდა, აგრეთვე, ძაღლების შორეული ყეფა და მამლების ყივილი. სოფელში ხომ ამ დროს თითქმის ყველას სძინავს, – ეძინებოდათ, რა თქმა უნდა, ლელიკას და ბერდოსაც, – დავიძინე მეც.

დილით გამეღვიძა. უჩვეულო თეთრი შუქით იყო ოთახი სავსე. საათი – ცხრა ხდებოდა. სამსახურში დაგვიანებულსავით დავიწყე ჩაცმა. – წლები გადიოდა და ამ დრომდე აღარ მძინებია. ფანჯრიდან ჩანდა, როგორ დაბარდნილიყო სახლების სახურავები, ღობეები, ერთმანეთში გადახლართული და ძირს დაღუნული ტოტები. ფეხსაცმლის ზონრები არ შემიკრავს, ისე გავედი, გავდექი დერეფანში, – თითქოს გამაღლებული, გაღონივრებული.

ზედ ჩემი ქოხის წინ, ხუთიოდ ნაბიჯზე, თოვლის კაცი იდგა, თავზე პატარა გოდრულა ეხურა, ჯოხი ჰქონდა დაბჯენილი და, მარცხენა ხელით დოინჯშემოდგმული, შავი თვალებითა და შავად ახაზული პირით მიცინოდა. მის უკან ვითომცდა დამალულები იყვნენ ლელიკა და ბერდო, ლელიკა ათი წლის, ბერდო – რვა წლისა და შვიდი თვის. აღარ იყო აღარც ღამის კუნძული, აღარც იმის იქითა ქვეყანა. მე პატარების იდუმალებით მოსილ სამეფოში ვიყავი მიპატიჟებული, – დაე, სხვებმა იარონ სხვა ქვეყნებში, – ამ სამეფოს მკვიდრნი, როგორც მოგეხსენებათ, არასოდეს ლაპარაკობენ გულზე!

ჩვენი სტუმარია თბილისის 192-ე საშუალო სკოლა

არაჩვეულებრივი ჩვეულებრივი სკოლა

წარმოგიდგენთ სკოლის დირექტორს, ქალბატონ ლონდა მებურიშვილს. დაამთავრა უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტი. მუშაობდა ინგლისურის მასწავლებლად 126-ე საშუალო სკოლაში, სასწავლო ნაწილის გამგედ 57-ე სკოლაში. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა სახელგანთქმულ 161-ე სკოლას. 1990 წლიდან, ანუ დღიდან დაარსებისა, გახლავთ 192-ე საშუალო სკოლის დირექტორი. არის რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, მიღებული აქვს მრავალი ჯილდო. ჰყავს მეულლე, ვახტანგ ცქიფურიშვილი (არქიტექტორი), შვილები გიორგი (ჟურნალისტი, პოპიტუტერული გრაფიკის სპეციალისტ-დიზაინერი) და ეკა (უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი). უყვარს კლასიკური მუსიკა და ჯაზი. გატაცებულია ცურვით და მაგიდის ჩოგბურთით.

დედაქალაქის ახალ რაიონში, დიდ დიღომში ახალი სკოლა 1990 წელს გაიხსნა. შენობა კი იყო ახლად აშენებული, მაგრამ ყველაფერი მოსაწესრიგებელი ადმოჩნდა: მოსარჯულებელი იყო იატაკი, კარფანჯარა, შემოსაზიდი იყო მერხები, სკამები და ა.შ. დირექტორმა, ქვეყნის განათლების სისტემაში ცნობილმა ორგანიზატორმა, ქალბატონმა ლონდა მებურიშვილმა, რომ იტყვიან, ყველაფერი საკუთარი ხელით გააკეთა და დიდი ძალისხმევის შედეგად სასწავლო წლის დაწყებისათვის ბავშვებს ყველაფერი და ყველა მზადყოფნაში დაახვედრა. პირველ ხანებში მოსწავლეებზე მეტად მასწავლებლებს გაუჭირდათ – გოგო-ბიჭები ახლომახლო კორპუსებში ცხოვრობდნენ, მასწავლებლებს კი, რადგანაც აქამდე სხვა არანაირი ტრანსპორტი არ დადიოდა, აქაურობას მოშორებული რაიონებიდან, მეტროს სადგურ „სარაჯიშვილიდან" ფეხით უწევდათ სიარული. ქარში თუ თოვლში, ყინვაში თუ პაპანაქება სიცხეში იკვალავდნენ გზას და მაინც ყოველთვის დროზე მოდიოდნენ სკოლაში და არც ერთ მათგანს ერთხელაც კი არ დაუგვიანია გაკვეთილზე (ის კი არა, აქაური ძლიერი ქარების წყალობით ზოგჯერ უფრო ადრეც კი მოდიოდნენ), სწავლა ყოველთვის ზუსტად ცხრის ნახევარზე იწყებოდა. ან კი როგორ დაიგვიანებდნენ, როცა თვალწინ დირექტორის მაგალითი ჰქონდათ – მთელი სამი წელი ქალბატონი ლონდაც, თანამშრომლების მსგავსად, ქალაქის მეორე ბოლოდან იმავე მარშრუტით ასევე დაუგვიანებლად მოდიოდა სკოლაში. აქვე ვიტყვით, რომ დირექტორი, თავისი მხნეობით, უშრეტი ენერგიით, მოწესრიგებულობით, საქმის ცოდნით და ერთგულებით, დღესაც სამაგალითოა მთელი პედკოლექტივისათვის, რომლის ბირთვს ძირითადად ახალგაზრდა მასწავლებლები შეადგენდნენ. ქალბატონ ლონდას ამ სკოლაში მოსვლამდეც და მერეც, როცა მისი და მისი თანამოაზრეების უდიდესი ძალისხმევის წყალობით, სკოლა მოწინავეთა რიგებში ჩადგა, არაერთხელ შესთავაზეს, სხვაგან, უფრო ასე ვთქვათ, პრესტიჟულ უბანში, ქალაქის ცენტრში, სახლთან ახლოს გადასვლა, მაგრამ აქაურობას ვერ შეელია, ვერც ბავშვებს უღალატა, და ვერც მასწავლებლებს.

ქ-ნი ლონდა მებურიშვილი

დღეს 192-ე სკოლაში 1205 მოსწავლე და 70 მასწავლებელია. მოსწავლეთა აღზრდა-განათლების საქმეს მაღალკვალიფიციური პედაგოგები ემსახურებიან, რომელთა შორის სოროსის პრემიის ლაურეატებიც არიან და ღირსების ორდენის კავალერიც. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვების ნიჭისა და უნარის გამოვლენა-განვითარებას, რაც მათ უმაღლესი განათლების მისაღებად აუცილებელ საფუძველს უქმნის. სკოლაში, რომელსაც უბრალოდ მებურიშვილის სკოლას ეძახიან, გამუდმებით ზრუნავენ თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი სახლეების დანერგვაზე. დღიდან სკოლის გახსნისა, X–XI კლასებში შემოღებული იქნა გაძლიერებული პროფილური, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო სწავლება. ჩამოყალიბდა „კეთილშობილ რაინდთა ორდენი", შეიქმნა ლიტერატურული სალონი, მოსწავლეთა ძალებით მზადდება და გამოდის მოსწავლეების მიერვე დაფუძნებული გაზეთი „ნიჭიერი შერეკილები", რომელიც დიდი სიყვარულით და პოპულარობით სარგებლობს როგორც სკოლის მოსწავლე-მასწავლებლებში, ისე მშობლებში და საერთოდ, საზოგადოებაში, წესად დაინერგა მოსწავლეთა თვითმმართველობის კვირეულის ჩატარება, შეხვედრები ხელოვნების თუ ლიტერატურის ცნობილ ოსტატებთან.

1996 წელს სკოლასთან ჩამოყალიბდა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ძველი თბილისი", რომელსაც ხელმძღვანელობენ ი. სუხიშვილის აკადემიური ანსამბლის ყოფილი წევრი, მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი ეკა ჩაჩავა და გამოცდილი ქორეოგრაფები: დალი პაპინაშვილი და თენგიზ ქიმაძე. დღიდან დაარსებისა, ანსამბლი აქტიურად მონაწილეობს საქველმოქმედო კონცერტებში, აგრეთვე კულტურისა და განათლების სამინისტროების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, გარდა ამისა, ანსამბლმა მრავალი გასვლითი კონცერტი ჩაატარა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. „ძველი თბილისის" რეპერტუარში შედის როგორც ქართული ხალხური, ასევე მსოფლიო ხალხთა ცეკვები: ბერძნული, ესპანური, ირლანდიური და ა.შ.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ხელოვნების წახალისების ფონდის მიერ გამართულ ქართული ხალხური ცეკვების ბავშვთა კოლექტივების II ფესტივალზე ანსამბლმა მაყურე-

გაგრძელება მე-6 გვ.

დასაწყისი მე-5 გვ.

ბლის სიმპათიის პრიზი მოიპოვა და ლაურეატის წოდება დაიმსახურა. ფესტივალ „მოსწავლეთა დღეებში“ აქტიური მონაწილეობისათვის სკოლის ნორჩი მოცეკვავეები არაერთხელ დაჯილდოვდნენ საქართველოს განათლების სამინისტროს, ქ. თბილისის განათლების განყოფილების ფასიანი საჩუქრებითა და პრიზებით. წელს გამართულ მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ ფესტივალზე „ოქროს მართვე“ ჟიურიმ ანსამბლი I ხარისხის დიპლომით, სამახსოვრო პრიზებით და ლაურეატის წოდებით დააჯილდოვა, უმაღლესი შეფასება დაიმსახურა „ძველმა თბილისმა“ საქართველოს პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირის მიერ ორგანიზებულ ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედების I რესპუბლიკურ კვირეულ-კონკურსში.

დიდი წარმატებები აქვს სკოლის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „არგოსაც“, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელია ანსამბლ „ივერიის“ სოლისტი ა. შარაშენიძე. ეს შოუ-დასი ხშირად მართავს საქველმოქმედო კონცერტებს დიდგორის და წყნეთის ბავშვთა სახლებში, მონაწილეობს ინვალიდთა ლიგის მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო ღონისძიებებში. „არგოს“ მოპოვებული აქვს ბორჯომის ტრადიციული ფესტივალის „ბროლის ნაძვის“, „ჯადოსნური ხმების“, „გაზაფხულის ზარების“ და სხვა კონკურსების თუ ფესტივალების დიპლომები და სიგელები. დიდი მოწონება დაიმსახურეს არგოელებმა ბავშვთა მსოფლიო ფესტივალზე „სლავური ბაზარი“, სადაც ჟიურიმ მათ პირველი ადგილი არგუნა, ასევე პირველ ადგილზე გავიდნენ ისინი მსოფლიოს ბავშვთა მე-8 და მე-9 ფესტივალებზე.

ცოდნას, რომელსაც სკოლის მოსწავლეები გაკვეთილებზე მაღალკვალიფიციური მასწავლებლების მეშვეობით იღებენ, გონივრულად აგებულ ფაკულტატურ თუ საწრეო მეცადინეობებზე შეძენილი ემატება და შედეგად 192-ე სკოლის გოგო-ბიჭები ყოველთვის წარმატებით გამოდიან სხვადასხვა საგნობრივ ოლიმპიადებში თუ კონკურსებში, სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებზე და სხვა. თავად სკოლაშიც ხშირად ტარდება შეჯიბრებები კალიგრაფიაში II-III-IV კლასების მოსწავლეთათვის, ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების პერსონალური გამოფენები.

ცალკე უნდა აღინიშნოს სპორტული მუშაობის ძალზე მაღალი დონე სკოლაში. სამწუხაროდ, ბოლო წლებში ფიზკულტურის გაკვეთილებსაც და სპორტული სექციების მუშაობასაც ქვეყნის სკოლებში ძალზე ნაკლები ყურადღება ექცევა, ამ მხრივ 192-ე სკოლა სასიამოვნო გამონაკლისი გახლავთ და ეს უწინარეს ყოვლისა, ფიზკულტურის ღვაწლმოსილი მასწავლებლის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, ღირსების ორდენის კავალერის ნუგზარ კალანდაძის დამსახურებაა. ბატონი ნუგზარი და მისი თანამოსაქმე ანატოლი არუთინოვი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა მოსწავლეებს ვაბული ყურადღება ექცევა ინგლისური ენის გაძლიერებულ სწავლებას. მოსწავლეები ხშირად დგამენ პიესებს ინგლისურ ენაზე, სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებებზე ინგლისურ ენაზე კითხულობენ ლექსებს. ძალზე კმაყოფილი დარჩა მათი ინგლისური ენის ცოდნის დონით სკოლაში სტუმრად მოწვეული ინგლისელი საზოგადო მოღვაწე ბატონი იან შელდრეკი. ენის კარგი ცოდნის წყალობით გოგო-ბიჭებს ცხოველი მიმოწერა აქვთ ამერიკელ და იაპონელ თანატოლებთან.

სკოლაში გახსნილია წმინდა გიორგის სახელობის სამლოცველო, რომელიც ქაშუეთის ეკლესიის მეუფემ მამა ელიზბარმა აკურთხა, ხოლო სკოლის ტერიტორიაზე გამოიყო ნაკვეთი ეკლესიის ასაშენებლად. სულ მალე კი მოსწავლე-მასწავლებლების, მშობლების და საერთოდ, რაიონის მოსახლეობის ერთობლივი ძალისხმევით ეკლესიის მშენებლობაც დაიწყება.

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

არსებობის სულ რაღაც 13 წლის მანძილზე 192-ე სკოლამ მართლაც შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია და მთელ დიდ დიღომში განათლებისა და სულიერების კერად იქცა. მაგრამ ქალბატონ ლონდა მებურიშვილს მიღწეულით დაკმაყოფილება არასოდეს სჩვეოდა, იგი დღესაც სულ წინ იხედება, ხვალინდელ დღეზე ფიქრობს და სხვებსაც საამისოდ განაწყობს. სკოლის მასწავლებლები აქტიურად არიან ჩაბმულები სხვადასხვა თრენინგებისა და სემინარების მუშაობაში, სადაც სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ხერხებს ეცნობიან, მერე კი ყველა ამ სიახლეს პრაქტიკულად იყენებენ მოსწავლეებთან ურთიერთობაში. მოკლე დროში სკოლაში ამოქმედდება კომპიუტერული ცენტრი, სადაც მოსწავლეები სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამას დაეუფლებიან.

ასეთი ცხოვრებით ცხოვრობს თბილისის 192-ე სკოლა, რომლის მეგობრულ ოჯახად შეკრული თანამოაზრეთა გუნდი განათლებულ, ზნეკეთილ, შრომისმოყვარე ახალგაზრდებს უზრდის ქვეყანას და ეჭვი არ არის, რომ სამშობლოს ბედნიერი მომავლის აშენებაში თითოეული მათგანი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს.

ზამთარი მხატვარია

ზოგჯერ ზამთარი უცებ, ერთ ღამეში ააგებს ვერცხლის სასახლეს, არემარეს ფიფქით მორთავს, მიწას სპეტაკი თოვლის საბანს წაახურებს, გუბეებს, ტბებსა და მდინარეებს ყინულით მოაარშიებს... გამოიღვიძებ ერთ მშვენიერ დღეს და შეჭირხლული ფანჯრიდან ნამდვილ თოვლიან ზამთარს დაინახავ. უკეთ დასანახავად კი უმალ მინის დაორთქვლა და გაწმენდა მოგინდება. მაგრამ ნუ იჩქარებ, დააკვირდი, ჭირხლის რა ლამაზი ნახჭები გამოუყვანია ყინვას მინაზე, ნახე, ზოგი ნაძვის ტოტს ჰგავს, ზოგიც ზღაპრულ ყვავილს თუ ნემსებს. ახლა სხვა ფანჯარასთან გადაინაცვლე, რაო? აქ სხვა ნახატები დაგვხდა? მეორე ოთახშიც გადი, იქ კი სულ სხვა ხელწერის მხატვარს უმუშავია... იცი, რა არის ყველაზე საინტერესო? ის, რომ ყინვა ამ ნახჭებს ჩვენი დახმარებით ხატავს. ჭირხლი ხომ სხვა არაფერია, თუ არა სხვადასხვა საგნებზე შეყინული ორთქლი. ჩვენ მიერ ამოსუნთქული ნესტიანი ჰაერი ძალიან ცივ ზედაპირს რომ ეხება, იყინება და პაწაწკინტელა კრისტალებად იქცევა, საოცარ ნახატებსა და სახეებსაც სწორედ ეს კრისტალები ქმნის. თუ გინდა თავად დარწმუნდე ამაში, შეჭირხლულ მინას ხელი მიადე და ნახავ, რომ ის ადგილი ჩამოდნება, ახლა დააორთქლე იგი. აი ხომ



გეუბნებოდით, ყინულოვანი კრისტალის ნემსები გაჩნდა, ეს ნემსები, ერთმანეთს რომ შეხვდებიან, შეეზრდებიან და ათასნაირ ნახჭებს ქმნიან. მაგრამ ყინვა მარტო ფანჯრებს როდი ახარატებს ჭირხლით, იგი მიწაზეც ხატავს ყინულოვან ყვავილებს. ფოთლის ან ყვავილის მოყვანილობის ნახჭები ჭირხლდაკრულ ფხვიერ, ოდნავ ნოტიო ნიადაგზე უნდა ათვალიერო, უფრო იქ, სადაც მიწისქვეშა თბოტრასის მილები გადის ან სავენტილაციო ლიუკებია. თბილი ჰაერი და ყინვა ერთად მუშაობენ, ერთად ქმნიან კრისტალებისგან საოცარ ნახატებს – პალმებს, გვიმრებს, სხვადასხვა ზღაპრულ ყვავილებს.

რას ვიხილავდი ცაცხვიანოს ოთხ კედელში...

ამბობენ, ახალ წელს ყველა სურვილი ახდებაო. მართალია, უკვე დიდი ვარ, არც თოვლის პაპის მჯერა და არც საახალწლო სასწაულების, მაგრამ პირველ რიგში, მე მამაჩემის და ჩემი დის გაცოცხლებას, ჩემთან ახლოს ყოფნას ვინატრებდი, თუმცა კარგად ვიცი, რომ ეს აუხდენელი ოცნებებია. ასევე ვინატრებდი საქართველოში მშვიდობას და ბედნიერებას, რაც, იმედი მაქვს, ნამდვილად ამიხდება. მე ქართველი ვარ და ჩემს ყველა ნატვრასთან ერთად მთავარი სამშობლოს ბედნიერებაც და კეთილდღეობაც არის.

გვანცა ცხვედიანი, სკოლა „ათინათი“, VI კლასი.

ახალი წელი ყველა ბავშვისათვის დღესასწაულია. დგება 12 საათი, გარეთ ფეიერვერკების ხმაური ისმის და ნაძვიც მაღლდება. ამ დიდ სიხარულს ყველა ბავშვს ჩუქნიან მშობლები, მაგრამ არსებობენ მშობლები, რომლებსაც საშუალება არ აქვთ ახალ წელს შვილები გაახარონ.

რომ შემეძლოს, მათ ყველანაირად დავეხმარებოდი. საახალწლოდ ყველა ელის თოვლის პაპის საჩუქრებს. მეც ასე ვიყავი, მაგრამ კარგა ხანია მივხვდი, რომ ეს ზღაპარი იყო, და ყინულოვან ცივ მთებში თოვლის პაპები არ არსებობენ. არ არსებობენ არც მათი ირმები,

საახალწლოდ ყველას, ყველას, ყველას, ვისაც ვიცნობ და ვისაც არა, დიდ ბედნიერებას და იმედებს ვჩუქნი.

ანანო იბოევი, სკოლა „ათინათი“, VI კლასი.

მინდა ახალი წლისთვის გამოჩნდეს პატარა ფერია, რომელიც ყველა თხოვნას შემისრულებს. ჩემს პატარა მეგობარს პირველ რიგში შევთხოვდი, რომ ჩემს საქართველოში ხალხი ისევ ისეთი თბილი და ალერსიანი გახდეს, როგორიც ადრე იყო, რომ ადამიანებს უხაროდეთ ერთმანეთის ნახვა, უყვარდეთ ერთმანეთი და ყველას სახლში იყოს სითბო და სიმშვიდე. მინდა ვნახო გაგრა, სადაც ჩემი დედიკო ბავშვობაში არდადეგებს ატარებდა.

მინდა ჩემმა ფერიამ მასწავლოს ბევრი, ბევრი სიკეთის კეთება, რომ ისეთი კაცი დავდგე, რომლითაც იამაყებენ ჩემი ახლობლები, მინდა ვთხოვო ჩემი მშობლების, ჩემი ახლობლების ჯანმრთელობა და დიდი ხნის სიცოცხლე.

კიდევ მინდა, რომ ახალი წლის ღამეს თოვლი მოვიდეს!

გიორგი გულარიძე, სკოლა „ათინათი“, VI კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვის ნათესსა ვმკით?“

(მიმოხილვა 1879 წლისა)

მოლით, კიდევ ერთხელ გადავხედოთ საქართველოსთვის გაკეთებულ-გასაკეთებელს ილიას თვალით, მისეული საზომით შევამოწმოთ ჩვენი დიდ-პატარა საქმეები და კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რამდენს ვაგებთ, მის გზას ბოლომდე რომ ვერ ვერთგულობთ... თვითონ ხომ სამშობლო მუდმივი ზრუნვის საგნად გაიხადა, ხომ სულ მამულის უკვდავებაზე ოცნებობდა, თანამემამულეთაც ნიადაგ ამას შეაგონებდა, საქართველოს მოუარეთო. დღესაც თავს დაგვტრიალებს, არ გვასვენებს – გონებას, სულს, ზნეობას, სინდისს გვიფორიაქებს...

გთავაზობთ ილიას 1879 წლის წინასაახალწლო სამინაო მიმოხილვას „ვის ნათესსა ვმკით?“ ნუ დაიზარებთ, გულდადებით წაიკითხეთ, დღეს თუ არა ხვალ ახალი საქართველოს ბედი თქვენ უნდა ჩაიბაროთ და, უთუოდ, ბევრ ისეთ რამეს ამოიკითხავთ, საუკეთესო საბაჯღად რომ გამოგადგებათ ქვეყნის ასალორძინებლად დასაძლევ გზაზე.

აი მოსწყდა ერთი წელიწადი კიდევ აწმყოსა და მიერთო იმ ვეშაპს, რომელსაც წარსულს ეძახიან და რომელსაც ამოდენა დრო და ჟამი გადაუყლაპავს და მოუნელებია. წავიდა ძველი წელიწადი და მოვიდა ახალი. რომელი ერთი მოგილოცოთ, მკითხველო: ძველის წასვლა, თუ ახალის მოსვლა? ადამიანთა ცხოვრება საზოგადოდ და ჩვენი საკუთრივ რომ რიგიანად აგებული იყოს და თავისად მიმავალი, ძველს უნდა რაიმე სიკეთე დაეთესა, რომ ახალს ეხეირებინა. რადგანაც წესიერად მოწყობილ ცხოვრებაში დღევანდელი დღე შვილია გუშინდელისა და დედაა ხვალინდელისა. მაშინ, რასაკვირველია, ძველს მადლობით გავისტუმრებდით და ახალს იმედით და ნატვრით მივეგებებოდით. მაგრამ კაცი ბჭობს და ღმერთი კი იცინისო, ნათქვამია.

სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი აი ამოდენა ხანია ქვეყანაზედ დავგოგავთ, ამოდენა ხანია ჩვენს თვალ-წინ ერთი წელიწადი მეორესა სცვლის, და ჩვენს ბედს ისე უმუშავნია, რომ არც ერთხელ საბუთი არა გვქონია ან წარსულს ნაღვლით გამოვსალმებოდეთ და ან მომავალს სიხარულით მივგებებოდეთ. ამოდენა წელიწადებს გაუვლია-მეთქი და მათგანი ერთი იმისთანა არ შეგვხვედრია, რომ ნუგეშით გაგვეჩერებინოს მასზედ თვალი და მადლიერის გულით გვეთქვას: „იყავ და განგრძელდიო“. ყოველ ახალის წლის მოსვლასაც ბევრჯელ მივგებებივართ რაღაც იმედითა და ნატვრითა, მაგრამ მოსულა ახალი და ფუჭად ჩაუტარებია „იგი ნატვრა, იგი იმედი“.

ჟამთა ცვლას ჩვენის ბედის ცვლა არ მოჰყოლია, თითქო დროთა მდინარება ჩვენთვის არ არსებობსო, თითქო ყველასთვის მოძრაობსო და მარტო ჩვენთვის კი შემდგარიაო. არც წინ მიდის, არც უკანაო. ამდენმა გაცუდებამ იმედისამან და ნატვრისამან იქამდინ მიგვიყვანა, რომ ჩვენს თვალ-წინ ერთი წელიწადი მეორეზედ მიდის და მოდის და არც ნათელი გვრჩება წარსულის სიკეთისა და არც ნუგეში მომავლის იმედისა. ამ ყოფამ დაგვიღალა გული, ამოდენა ტყვილმა ლოდინმა დაგვლია. აი, ამ-ჟამად, როცა დროთა ბრუნვამ ძველისა და ახლის შუა ამართულს ქედზედ დაგვაყენა, საიდამაც წარსულსაც გადავყურებთ და მომავალსაც, – ჩვენ გული არ გვიცემს არც იმისთვის, რომ წარსულს გავტიროდეთ, და არც იმისთვის, რომ მომავალს შეეხაროდეთ.

თუმცა, ასე აგვიცრუა გული ათასმა მაგალითებმა, ბევრმა უნაყოფოდ ჩავლილმა და მოვლენილმა წელიწადმა, მაგრამ სიმართლე გვაიძულებს, ვსთქვათ, რომ ეს უკანასკნელი ოთხი-ხუთი წელიწადი როგორღაც ცოტად თუ ბევრად, სანუგეშონი იყვნენ. ნამეტნავად ეს ძველი 1879 წელი ღირსშესანიშნავი წელიწადი იყო ჩვენთვის და ქართველმა მემატიანემ რომ ამ წელიწადს მხარი აუქციოს, არ უნდა ეპატივოს. ამ წელიწადმა ცხადის მაგალითებით დაგვიმტკიცა, რომ ქართველობამ, აქამდის ერთმანეთზედ დაშორებულმა, აქამდის ცალ-ცალკედ მოარულმა, იგრძნო, რომ ეგრეთ ყოფნა მწვადსაცა სწვავს და შამფურსაცა, თვითოეულს კაცსაც ავნებს და მთელს საზოგადოებასაც; იგრძნო ეს ტკივილი და მალამოც უპოვა, იგრძნო რომ ღონე ერთობაშია, ერთად თავმოყრაშია, ერთად საერთო უღლის წევაში, ერთმანეთის მხარის მიცემაში. იგრძნო და გაშალა ხელი კიდეც. რომ დაქსაქსული, გაფანტული, ცალ-ცალკედ მოარული ღონე-ქონებითი თუ გონებითი – ერთს კვალში ჩაეყენებინა საერთო და საყოველთაო მოქმედებისათვის. ჩვენ ამ მაგალითებთაგანს ორიოდეს დავასახელებთ, რადგანაც ჩვენთვის ამ-ჟამად საჭიროა ის კი არა, რა გაკეთდა, აქამდე ის არის საჭირო, გაკეთებული რამან შეჰქმნა, რამ გააკეთა და საიდამ წარმოსდგა.

შესდგა ჯერ თავად-აზნაურთა საზოგადოება ღარიბ-მოსწავლეთა შემწეობისათვის. ამ საზოგადოებამ 1879 წ. გამართა ტფილისში ქართული შკოლა, სადაც სწავლა დედა-ენის შემწეობით არის მომართული და სადაც ოთხმოცამდე ყმაწვილნი სწავლობენ და ამათში ოც-დათორმეტს, თუ ცოტა მეტ-ნაკლებს, ბინაცა აქვთ აჩენილი.

შესდგა საზოგადოება წერა-კითხვის გამავრცელებელი ქართველთა შორის, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება, რომ სასოფლო და პირველდაწყებითს შკოლაში სწავლა დედა-ენის შემწეობით აწარმოოს. თუმცა ამ საზოგადოებას ჯერ თავი არაფრით გამოუჩენია, მაგრამ ტვირთი მისი მეტად მძიმეა და საგანი მეტად რთული და ამის გამო აქ „სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“. ამ საზოგადოების რთულისა და მძიმე საქმის ჯეროვანს კვალში ჩაყენება ეგრე ადვილი არ არის, რომ სამს-ოთხს თვეში თავი გამოეჩინა, ამ საზოგადოებას წინ დიდი მანძილი აქვს გასავლელი. დიდს მანძილს კაცი ჭენებით ვერ გაივლის!.. ამით ჩვენ იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ ფეხის აჩქარება ამ საზოგადოებისათვის მავნე-

გაგრძელება მე-9 გვ.

დასაწყისი მე-8 გვ.

ბელი იყოს ყოველ შემთხვევაში. თუმცა არ არის სასურველი ეს საზოგადოება ისე აუჩქარდეს თავის საქმეს, რომ ზედ წაკლას არსებითი საგანი, მაგრამ არც ის არის სანატრელი, რომ მეტისმეტმა სიწყნარემ ობი მოჭიდოს იმ დედაბრს, რომლითაც იგი საზოგადოება უნდა სულდგმულობდეს. ამავე 1879 წ. შესდგა ქართულის თეატრის დასი, მერე იმისთანა, რომ უკეთესი ნატვრა – ჯერ-ხანად მაინც – მეტის-მეტი ხარბობა იქნება ჩვენის მხრით.

ჩვენ მარტო ეს სამი მაგალითი ჩამოგითვალეთ არა იმისთვის, რომ მაგის მეტი სანუგეშო არა მომხდარიყოს რა ჩვენს შორის ამ უკანასკნელ დროს. მაგრამ ეს სამი მაგალითიც საკმაოა იმისთვის, რის თქმაც გვინდა. ყოველივე ეს, რაც ზემოთ გაკვრით მოვიხსენიეთ, მით არის შესანიშნავი და ძვირფასი ჩვენთვის, რომ ქართველობის საკუთარის თაოსნობით, ღვაწლით, შეწირულობით და ხელით აშენდა და დამკვიდრდა. განა ბევრს წელიწადებს ჩამოგითვლით ამ უკანასკნელს ოთხმოცის წლის განმავლობაში, რომ რომელიმე მათგანი ამ მხრით თავმოწონებით გვერდით დაუდგეს წარსულს წელსა? არა მგონია. ეს წელი შესანიშნავია როგორც დრო, როცა ჩვენმა საკუთარმა თაოსნობამ თითქმის პირველ ფეხი აიდგა; როცა ჩვენმა ქართველობამ პირველ ხმამაღლა სთქვა: კმარა, დროა ჩემს თავს მევე მოვუაროო.

რამ გამოაფხიზლა ქართველობა? რამ აუღორძინა თვითმოქმედებითი ძალი? ამის აღსახსნელად პატარა შორიდამ დავიწყებთ ლაპარაკსა. უფრო იმისათვისა, რომ თუ თვალით არა, სუნით მაინც ავიღოთ, რომელი ცხოვრების ძარღვი გვაქვს ჩაწყვეტილი დროთა ბრუნვისაგან.

ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყანა დაირღვა და განაწილდა სამს სამეფოდ და ხუთს სამთავროდ. ამ დარღვევამ არამც თუ მარტო ერთობის კავშირი გასწყვიტა ჩვენის სამეფოისა, არამედ საზოგადოებრივიცა. თვითოეული ჩვენგანი ერთმანეთს დაგვაშორა, ერთმანეთის გულის-ტკივილისათვის გული აგვიცრუა, მოგვიკლა. მას დღეს აქეთ გაითხარა ჩვენის ბედნიერების სამარე, მას დღეს აქეთ თვითოეული დღე თითოს რასმე სიკეთეს ხელიდამ გვაცლიდა. ეს საზარო უბედურება, რომელიც თანდათან უფრო და უფრო გვიჯდებოდა სულსა და ხორცში და გეხრწნიდა თავიდამ ფეხამდე, იგრძნეს მაშინვე ჩვენმა მამა-პაპებმა და მათგან უკეთესებმა ზედ შეაკლეს თავი ჩვენს ქვეყანასა, რომ ერთობა ხელახლად ჩამოეგდოთ. ბევრმა სახელოვანმა მეფემ დალია ამაზედ თავისი სიცოცხლე, ბევრმა თავგამოდებულმა მამულის-შვილმა დაანთხია ამისთვის სისხლი, მაგრამ გარედამ მტერმა და შიგნით უკეთურთა ბზარვამ და ლაღვამ იმოდენა ჯაფა, სისხლის ღვრა, თავგანწირვა, – ამაოდ ჩაუტარეს დარღვეულობით დაუძლურებულს ქვეყანასა და ერთხელ ზურგშემოქცეულს ბედს პირი ჩვენკენ ვეღარ აქნევინეს. ეგ შეერთების ყოვლად-მხსნელი სურვილი თუმცა ვეღარ განახორციელეს, მაგრამ ანდერძად კი მაინც შერჩათ გულში ზოგიერთს ძველთაგან შთომილსა. ხოლო ჩვენი უბედურება ის იყო, რომ მაგ ძველთაგან ცოტანიღა შეგვრჩნენ. დროთა ბრუნვამ, სხვა ნიავქარის ქროლვამ, სუსტებს გული შეუცვალა და ჩვენს დროსათვის დარჩა იმ ძველთაგან ძალიან მცირე გუნდი, რომელთაც გული კიდევ უცემდათ ქვეყნისათვის. დრომ ისე იმძლავრა იმათზედაც, რომ ჩუმად ხმაამოღებლივ უნდა მიმჯდარიყვნენ თავის უსიხარულო ჭერქვეშ და იქ ეგლოვნათ, იქ ეტირნათ თავისი ქვეყნის პირქვე დამხობა, მერე ისე, რომ ცრემლი თვალზედ არავის შეემჩნია. გულში ჰქონდათ-მეთქი ის მაცხოვარი წყურვილი შეერთებისა, მაგრამ დრომ ისეთი თავზარი დასცა, რომ შიშობდნენ არამც თუ ემოქმედნათ რამე, არამედ ერთმანეთის ნახვასაც კი ერიდებოდნენ. ეგრეთ ეგ უკეთესნიც დაჰშორდნენ ერთმანეთსა და დღე-და-დღე კლებაში შედიოდნენ. კლებულობდნენ იმიტომ, რომ ის ყოვლადმხსნელი სურვილი მარტო იმათ გულში ტრიალებდა და შიშით თავი გარეთ ვერ გამოეყო, რომ გავრცელებულიყო მათ მომდევართა შორის და მემკვიდრეობით გადასულიყო მომავალთა გულში. ამ სახით. ის სურვილი ცოტად-ღა ბჟუტავდა ზოგიერთა გაცალკეებულს გულში, როცა მოედანზედ გამოვიდა სხვა ახალი თაობა. ახალი თაობა მოესწრო და ის თითქმის განელებული, მილეული სურვილი ერთობისა და საზოგადოებრივის კავშირისა კვლავ გაფუვდა, აღორძინდა ჩვენს დაფუყებულს გულში და აჰა ლამის ნაყოფიც გამოიღოს. ამ ღვაწლს ვერავინ შეეცილება ყმაწვილ-კაცობასა, რომელმაც, რაც კი შეეძლო თავი არ დაზოგა და ... დასამხობად მიწურვილი სურვილი კვლავ ფეხზედ წამოაყენა. ბევრს რასმე ემდურებიან ყმაწვილ-კაცობას, ზოგს სამართლიანად, ზოგს უსამართლოდ, მაგრამ აქ მოხსენებულს სამსახურს კი ჩვენს წინაშე ვერავინ ვერ ჩამოართმევს. ყმაწვილკაცობამ ხელი წაავლო პირველ ხანშივე მას, რაზედაც შეწყდა ჩვენი ცხოვრება. მან დააყენა ჩვენში ფეხზედ ქვეყნის სიყვარულიც, მამულის-შვილობაც. ერთსაც და მეორესაც. რაც შეეძლო, გზა გაუკაფა, ფეხი აადგმევინა, ერთის სიტყვით, ჩვენ, ერთმანეთზედ ზურგშექცეულნი, კვლავ ერთმანეთისკენ მიგვახედა. დიახ, ყმაწვილ-კაობის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ჩვენ საერთო, საყოველთაო სურვილი გაგვიახლა, საერთო გულისტკივილი ჩაგვისახა, ჩვენის თავის იმედი მოგვცა და ერთობ გამოგვაღვიძა, გამოგვაფხიზლა. ერთობის მღაღადებელთა არ გაუცუდდათ ღაღადება და აი დღეს იმასა ვმკით, რაც ყმაწვილ-კაცობის უანგარო ღვაწლით წინა წლებში დათესილი იყო.

გვეტყვით, სამკალი ჯერ მაგოდენა არ არის რაო, რომ ეგრე თავმოწონებით გამოდიხართ და აზვიადებთო. მართალია, ქართული თეატრი, ქართული შკოლა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სხვა ამ-გვარი ისეთი დიდი რამ არ არის, რომ ჩვენი ფარ-ხმალი ძირს დავსდოთ, მარტო მაგათ შევაჩერდეთ და მაგათზედ მეტი არა ვინდომოთრა. სურვილი ჩვენი ზღვაა და მაგგვარის კოვზით ეგ ზღვა არ დაილევა, მაგრამ ყოველს ამაში ჩვენთვის ძვირფასი ის არის, რომ ერთიც, მეორეც, მესამეც, ჩვენის საკუთარი თაოსნობით და ღვაწლით არის მოყვანილი და ერთმანეთისათვის საერთო გულის-ტკივილით შემზადებული.

ეს ფრთაშესხმული საკუთარი თაოსნობა, ეს ერთმანეთისათვის გულისტკივილი, ეს ფეხადგმული თვითმოქმედებითი ძალი, – ის ნერგია, რომელმაც უნდა ამოხეთქოს ყოველივე, რაც ჩვენთვის სანატრელია. ეს ნერგი დარგულია ჩვენში ჩვენის ყმაწვილ-კაცობის ხელით – წარსულში, და მომავლის დროების მოღვაწეთა იგი უნდა ჰრწყან თავის მხურვალე ოფლითა. წარსულმა ეს უანდერძა მომავალსა, ეს ლარი გაუბა გზის საჩვენებლად.

(1879 წ. 31 დეკემბერი).

ოდოშსერი

ორინდა ასურელი მამის კვალდაკვალ

ჩვენი სამარშრუტო ტაქსი საგარეჯოსკენ, კერძოდ, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსისკენ მიემართება. ჩვენ კი მხიარულები, უდიდესი ბედნიერების მოლოდინში „ეუბლი ეუხასაო" – ვაგუგუნებთ და მივიწევთ იმ საიდუმლოებებისაკენ, რომელთაც იშვიათად თუ ამოხსნის კაცი. ამ ამოცანის ამოხსნაში ეთერ მასწავლებელი დაგვეხმარა და აი რა გავიგეთ: დავით გარეჯელი ერთ-ერთი იმ ბერთაგანია, რომელნიც საქართველოში VI საუკუნეში ასურეთიდან შემოვიდნენ, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს შეესივნენ, გაკაფეს ტყე და აღაშენეს ტაძრები. დავითს გარეჯისკენ მოუხდა წასვლა და სწორედ აქედან აქვს მას მიღებული გარეჯელის სახელი. დავით გარეჯელს იქ ძმიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება, ბალახეულით იკვებებოდა, მაგრამ უფრო ხმამაღლა ღაღადებდა უფლის სადიდებელ ლოცვებს. როცა უფრო მკაცრი შიმშილობა ჩამოვარდა, დანარჩენი სასწაულიც მაშინ მოხდა. უფალმა მას და ბერებს გამოუგზავნა ირმები, რომლებიც ყოველ დილით მოდიოდნენ, ბერები მათ წველიდნენ და მისი რძით იკვებებოდნენ. ერთ მშვენიერ დღეს კი სასწაულს სასწაული დაემატა, რძე ყველად იქცა და ბერებიც გადარჩნენ შიმშილით სიკვდილს.

სამონასტრო კომპლექსში ვიხილეთ დავით გარეჯელის სასწაულთმოქმედი საფლავი და გავიგეთ „სურვილების" ქვის შესახებ, რომელიც დავითს იერუსალიმიდან ჩამოუტანია და დღეს ის ქვა საპატრიარქოში ინახება.

ყველა გაგვაკვირვა გარეჯის უდაბნოს წითელი ფერის მიწამ, თურმე ამ მხარეში შაჰ-აბაზის მეომრები თარეშობდნენ, მათ ლოცვად მდგარ ბერებ თავები მოკვეთეს და ეს მიწაც მათი წმინდა სისხლით გაწითლებულა სამარადჟამოდ.

მე ჩემს სიცოხლეში პირველად ვიხილე ასეთი საოცრება და ეს დღე ჩემთვის ყოველთვის საუკეთესოდ დარჩება, რადგან მე ვნახე ისეთი რამ, რაზეც არც მიოცნებია.

ეკატერინა გაგუა,
სკოლა „სარკმელი",
VII კლასი.

ალეკო ჯაჭვლიანი, სკოლა „სარკმელი", II კლასი

ქანა გუზიტაშვილი, სკოლა „სარკმელი", V კლასი

რას ვიხილავენ ბავშვები ოცდამეერთე საუკუნეში...

თაკო ქადარია,
სკოლა-ლიცეუმი „დავითი", II კლასი.

მე მინდა, ახალმა წელმა მოიტანოს მშვიდობა და სიყვარული. მოიტანოს უამრავი სათამაშოები და ბევრი ტკბილეული, რომ ყველას გავუნაწილო.

კიდევ მინდა, თოვლის ბაბამ საახალწლოდ მოიყვანოს ამერიკაში მყოფი ბესო ძია, რომელიც ძალიან მენატრება.

ნატვრის თვალი რომ მქონდეს, საახალწლოდ მხოლოდ სამი ნატვრის ასრულებას ვთხოვდი, რადგან მას მხოლოდ სამი ნატვრის შესრულება შეუძლია.

ჩემი პირველი ნატვრაა, მსოფლიოში არ იყოს ომი, ჩემი სამშობლო გაერთიანებულიყოს, გვყავდეს გონიერი ერისკაცი, რომ ჩემს ქვეყანაში ვხედავდე მხოლოდ ბედნიერ სახეებს, არ იყოს მტრობა, არ სუფევდეს შური.

ღმერთო, შემოქმედო ყოვლისა, შენ გაუთენე ჩემს ხალხს, ჩემს სამშობლოს, ბედნიერი ახალი წელი! სამი კი არა, უფრო მეტი ნატვრა გამომივიდა, მივხედი, რომ ერთი ნატვრისთვალი არ მეყოფა.

ვახტანგ გაფრინდაშვილი,
სკოლა „ამინათი",
VI კლასი.

იცით რა არის ჩემი საახალწლო სურვილი? – ნატვრისთვალი. დიახ, ნატვრისთვალი, რომლითაც შემიძლია მშვიდობა ვინატრო, ასე ძალიან რომ სჭირდება ჩემს ლამაზ სამშობლოს. მერე კი... მერე საჩუქრების დროც დადგება და ეს აუცილებლად ლამაზი სათამაშოები იქნება.

ნატო სალუქვაძე,
სკოლა-ლიცეუმი „დავითი", II კლასი.

მე მინდა, ახალი წელი იყოს თეთრად გადაპენტილი. მინდა, თოვლის ბაბუამ კარგი საჩუქრები მოიტანოს. ვინატრებდი, ახალმა წელმა მშვიდობა და სიკეთე მოგვიტანოს.

მიყვარს, როდესაც ახალ წელს მეკლე ვარ და ირგვლივ ცა ფეიერვერკებით არის განათებული. მოუთმენლად ველი 2004 წლის მობრძანებას.

ალეკო თოდაძე,
სკოლა-ლიცეუმი „დავითი", III კლასი.

მსოფლიო კიდით კიდემდე

დიდი ბრიტანეთი

ინგლისელმა ბავშვებმა მშობლიური ენა ცუდად იციან

დიდი ბრიტანეთის დაწყებითი სკოლების პროგრამაში შეტანილი ახალი საგნის დანიშნულებაა ასწავლოს ბავშვებს სწორი მეტყველება მშობლიურ ენაზე. პედაგოგების აზრით, ამის საჭიროება ბოლო წლებში იმის გამო გაჩნდა, რომ უმცროს კლასებში მოსწავლეთა დიდი ნაწილი მეტყველებაში უხეშ შეცდომებს უშვებს, ხოლო მათი ლექსიკონი მეტისმეტად მწირია. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ამის მიზეზი ის არის, რომ ბავშვები დღეში რამდენიმე საათს ატარებენ ტელევიზორთან და ტელეგადაცემების ღარიბ ლექსიკას ეჩვევიან, მშობლები კი ნაკლებად ზრუნავენ შვილების განვითარებაზე.

ინდოეთი

მასწავლებლებს გაკვეთილებზე ქსოვა აეკრძალათ

ინდოეთის განათლების სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, რომლითაც ქალ მასწავლებლებს ეკრძალებათ გაკვეთილებზე ქსოვა. საქმე ის არის, რომ დაწყებით და საშუალო კლასებში მასწავლებლები დროის უმეტეს ნაწილს ქსოვასა და კოლეგებთან ქსოვის საკითხებზე საუბარში ატარებენ. ამიერიდან ის მასწავლებლები, რომლებსაც გაკვეთილზე საქსოვი ჩხირებით ან ყაისნაღით ხელში წაასწრებენ, მკაცრად დაისჯებიან, ურჩებს კი სკოლის დატოვებაც მოუწევთ.

ისრაელი

მსოფლიო რეკორდსმენები გაკვეთილების გაცდენაში

ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით მსოფლიოს 40 ქვეყანაში ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ყველაზე ხშირად გაკვეთილებს ისრაელელი მოსწავლეები აცდენენ. თურმე, აქაური გოგო-ბიჭების 45 პროცენტი სისტემატიურად აცდენს სკოლას, ეს მაჩვენებელი საერთო მსოფლიო მაჩვენებელზე 25 პროცენტით მაღალია. გაცდენებში მსოფილიო რეკორდმენებს ოდნავ ჩამორჩებიან ბულგარელი მოსწავლეები – 40 პროცენტი, ბრინჯაო ამ „შეჯიბრებაში“ ესპანეთს ერგო – ამ ქვეყანაში სკოლის ზარი მოსწავლეთა ერთი მესამედისთვის არ ირეკება. ყველაზე ნაკლები გამცდენები კი იაპონიასა და ჩინეთში ყოფილან – 4 პროცენტზე ნაკლები.

აშშ

სკოლებში მობილურები აიკრძალა

ნიუ-იორკის საშუალო განათლების სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეებს ფიჭური ტელეფონებით სარგებლობა აეკრძალათ. გამონაკლისი მხოლოდ იმ ბავშვებისთვის კეთდება, ვისაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო აუცილებლად სჭირდებათ სატელეფონო კავშირი. ამიერიდან სკოლაში გამორთული მობილური ტელეფონებისა და პეიჯერების მოტანაც კი არ შეიძლება. მოსწავლეებისთვის ჩამორთმეული კავშირგაბმულობის მოწყობილობის უკან მიღება მხოლოდ აკრძალვის დამრღვევის მშობლებს შეუძლიათ. ქალაქის განათლების სისტემის ხელმძღვანელები საკუთარიგადაწყვეტილებას იმით ხსნიან, რომ ფიჭური ტელეფონები ხელს უშლიან მოსწავლეებს, ყურადღებას უფანტავენ გაკვეთილებზე, აუცილებლობის შემთხვევაში კი თითოეულ ბავშვს შეუძლია სკოლაში ასეთი შემთხვევისათვის გამიზნული შესაბამისი სისტემებით ისარგებლოს. ცხადია, მოსწავლეებს არ მოსწონთ ეს სიახლე, მაგრამ მათზე მეტად მშობლები არიან უკმაყოფილონი, რადგანაც ისინი სწორედ მობილურების მეშვეობით ახერხებდნენ სკოლაში მყოფი შვილებს გაკონტროლებას.

შეიძლება გორბაჩოვი „გრემის“ ლაურეატი გახდეს

რუსი კოპოზიტორის ს. პროკოფიევის და ფრანგი ჟან-პასკალ ბეინტუსის ნაწარმოებების საფუძველზე შექმნილი ზღაპრები „გრემის“ პრემიის სავარაუდო კანდიდატია.

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული მუსიკალური კონკურსის „გრემის“ „საბავშვო ზღაპრების“ ნომინაციაში წარდგენილ დისკზე „პეტია და მგელი“ ზღაპრები საბჭოთა კავშირის ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის, ცნობილი მსახიობის სოფი ლორენის და აშშ-ს ექსპრეზიდენტის ბილ ქლინთონის შესრულებით არის ჩაწერილი.

ტყეში ზამთრობა

ტყიურთა სამზადისი

დეკემბერი, ზამთრის პირველი თვე... საცოდავად გაძარცული ხეები, მიყრუებული ხოდაბუნები, უკაცრიელი ჭალები, მკაცრი, ცივი ნიავი და ზამთრის მაუწყებელი სუსხი, ხანგრძლივი წყვდიადით მოცული ღამეები და ციცქნა დღეები... ტყესა და მინდორში მხოლოდ დამშეული ჩიტებიღა ჟივჟივებენ. სრულიად გამქრალა კოღო, ბუზი, უბრალო ჭიაც კი არსადა ჩანს.

სად არიან ეს ციცქნა სულდგმულები? მათ წინასწარ მიწაში ჩაუფლავთ თავიანთი კვერცხები, თვითონ კი დახოცილან; ამ კვერცხებიდან გაზაფხულზე მზე გამოჩეკავს პატარა მწერებს; ზოგი მიწაში ღრმად ჩამძვრალა და იქ ცხოვრობს მთელი ზამთრის განმავლობაში. ასე იქცევიანი ჭიანჭველები და სხვა მწერებიც. ცოცხალ მწერებს მთელი ზამთრის განმავლობაში სძინავთ და მხოლოდ მაშინ იღვიძებენ, როცა გაზაფხულის მზე გამოანათებს.

ფრინველების უმეტესობა ზამთარს თბილ ქვეყნებში ატარებს. ზოგი ჩვენთან რჩება და ისინიც მყუდრო და თბილ ადგილს ეძებენ. სიცივე და შიმშილი სრულიად უკარგავს მათ მხიარულ გუნებას. დაღონებულები და ფრთებჩამოშვებულები დაეძებენ მინდორში საკვებს, სოფლების ახლომახლო ბინავდებიან კაჭკაჭები, ყვავები, პატარა ჩიტები...

აი, რა დიედბულად აგვიწერს იაკობ გოგებაშვილი ზამთარს ტყეში: „ნადირთა უმეტესი ნაწილი ზამთარში ბუნებაში სოროებსა და ხის ფუღუროებში ბინადრობენ. ხანგრძლივი სიცივეების დროს ხანგრძლივ ძილს მიეცემიან, მაგალითად, ზღარბი, დათვი, ვირთაგვა და სხვანი. ციყვი კი ზამთარს არ ეპუება და თავის მოძრავ ცხოვრებას არც ამ დროს იშლის. ზაფხულში ბლომად აგროვებს კაკალს, დაჯდება ფუღუროში, ამტვრევს და შეექცევა, შიმშილისაგან გამძვინვარებული მგელი მთელი დღე და ღამე ტიტველა მინდორში დარბის, მაგრამ ბევრს ვერაფერს პოულობს“.

ღრმა და ხანგრძლივ ძილს მიეცემა ყოველი ხე, ბუჩქი, ტყე და ბილიკი. მათში გამქრალა სიცოცხლის ყოველგვარი ნიშანი. მხოლოდ წიწვოვანი ხეები ცოცხლობენ, სუსტად, მაგრამ მაინც ცოცხლობენ.



თაღარიგიანი ფრინველები

ბუ ფრიად სასარგებლო ფრინველია. წინათ მას სიკვდილის ფრინველს ეძახდნენ, მისი ხმისაც კი ეშინოდათ, მაგარმ ღრმა და საფუძვლიანმა შესწავლამ დაგვიდასტურა, რომ არათუ საჭირო, არამედ აუცილებელიცაა მისი გამრავლება, ხელშეუხებლობა და დაცვა. რატომ? – ზაფხულში თითოეული მღრღნელი მინდორში ერთ კილოგრამ დათესილ ხორბალს სპობს, ხოლო ამავე პერიოდში ბუ – 1000 თაგვისებრ მღრღნელს. საერთოდ, ჩვენს პლანეტაზე 130 სახეობის ბუ ცხოვრობს, აქედან საქართველოში მხოლოდ 7 სახეობას ვხვდებით. ბუ გადაშენების გზაზეა. ახლა ბევრი სახელმწიფო ზრუნავს მის გამრავლებაზე. ეს საკითხი ჩვენს ქვეყანაშიც დგას. ამ სასარგებლო ფრინველს მომრავლება სჭირდება. ბუს ზამთარში, თოვლის საფარში, შეუძლია ნახევარი მეტრის სიღრმეზე იპოვოს მემინდვრიები. ზამთრისათვის ბუები მოპოვებულ ნადავლს გადაინახავენ ხოლმე. ხშირად ნადავლის გადასამალავად ტყის სხვა ბინადართა ბუდეებს ითვისებენ. 1951 წელს მეცნიერმა ზ. ლიხაჩევმა ტულის ტყეში ზამთარში

გაგრძელება მე-13

იპოვა ბუს მიერ შენახული 81 მწითური და 3 ჩვეულებრივი მემინდვრია, აგრეთვე 2 ფიგა, რომელთა საერთო წონამ 1396 გრამი შეადგინა.

ზოგჯერ, როცა ზამთარი გამძვინვარდება და დიდ სიცივეებს დაიჭერს, ბუს გაყინულ თოვლში ჩაძვრომა და მიწაში მემინდვრიების მოძებნა უჭირს, მაშინ ის მიმართავს კანიბალიზმს – ჭამს საკუთარ შვილებს. მეცნიერებმა პირველად კანიბალიზმი არწივებში აღმოაჩინეს: შიმშილისაგან სიკვდილს თავი რომ დააღწიონ, დედა არწივი და უფროსი შვილი „შეთანხმებით“ ჰკლავენ პატარას და ჭამენ.

ჩხიკვი, ეს პატარა ჩიტი, მა-

რთალია, მტაცებელთა სიაშია შეტანილი, მაგრამ დიდ სასარგებლო საქმესაც აკეთებს. მეცნიერების თქმით, ჩხიკვი ერთგული მეტყევის როლს ასრულებს.

და აი, როგორ:

მაშინ, როცა ტყეში სულიერი თუ უსულო დიდ ზამთართან შესახვედრად ემზადება, ცხოველები და ფრინველები იმარაგებენ საკვებს, ეძებენ თბილსა და საიმედო ბუნაგებსა და ბუდეებს, მაშინ, როცა მუხები და თხილნარები რკოსა და თხილს მოჰფენენ მიწაზე, სხვა ნადირ-ფრინველებთან ერთად, ჩხიკვიც გამალებული ეძებს ამ გემრიელ საკვებს, საოცარი წინდახედულობით აგროვებს რკოსა და თხილს თოვლის სქელი ფენის ქვეშ. ზოგჯერ ქვების ქვეშ მალავს და როცა დედამიწა თოვლით დაიფარება, თავის გადამალულ რკოს ან თხილს ამოიღებს საფარიდან და გემრიელად შეექცევა. მაგრამ ზოგჯერ ვეღარ პოულობს. ზამთარში თესლი გაღვივდება და გაზაფხულზე თავს ამოჰყოფს მუხის ან თხილის ნერგი. მეტყევეებმა კარგად იციან ყოველივე ეს და ამიტომ ჩხიკვს „ტყის მეგობარს“ უწოდებენ ტყის ბუნებრივ განახლებაში ჩხიკვს დიდი წვლილი მიუძღვის.

ჩხიკვი სასარგებლო ფრინველია. მას განსაკუთრებული სიფრთხილითა და სიყვარულით უნდა მოვეპყრათ.

ნისკარტმარწუხა – ასეთი უცნაური სახელი დაურქმევიათ ადამიანებს ამ ფრინველისათვის. ცხადია, ეს ნათლობა მისსავე ნისკარტთანაა დაკავშირებული. ბუნებამ ამ ფრინველს ნისკარტი საარსებოდ მისცა. ნისკარტმარწუხა იკვებება წიწვოვანი მცენარეების თესლით. ადამიანსაც კი გაუჭირდება გირჩიდან თესლის ამოღება, ეს ჩიტი კი მოხერხებულად და ოსტატურად ჩაარჭობს მძლავრ ნისკარტს და იღებს თავის საყვარელ საკვებს.

ნისკარტმარწუხა იმითაცაა საოცარი, რომ ის ერთადერთი ფრინველია, რომელსაც ზამთრის მოახლოება უხარია. წიწვოვან მცენარეებს ხომ ზამთარში [illegible] და უხვადაც აძლევენ ამ ფრინველს საჭირო საკვებს. მაშინ, როცა ყინვები მძვინვარებს, ეს უცნაური ფრინველი ბუდობისათვის ემზადება, სწორედ მკაცრი სიცივეებისა და დიდთოვლობის დროს დებს კვერცხებს და იწყებს ბარტყებზე ზრუნვას. ახლად გამოჩეკილი ნისკარტმარწუხები დიდი ყინვების დროს მშვენივრად გრძნობენ თავს. მეცნიერებმა შეისწავლეს ეს მოვლენა და დაასკვნეს, რომ წიწვოვან მცენარეთა თესლებში, რომლითაც ნისკარტმარწუხა და მისი ბარტყები იკვებებიან, არსებობის დიდი ძალა და ენერგიაა და ამიტომაც სრულიად უმტკივნეულოდ უძლებენ სიცივეს. ნისკარტმარწუხა ზამთარში სპეციალურ ბუდეს იშენებს – ორმაგ კედლებს უკეთებს მას. სამაგიეროდ, ზაფხულში მათ საცხოვრებელი ბუდეები არა აქვთ.

ფრინველთა უმრავლესობა ზამთარში ძირითადად სარეველა მცენარეთა თესლებითა და კენკრით იკვებება. გარდა ბუდეებისა და ბუაგებისა, ნადირები ზამთარს ახალი, თბილი „ქურქებით“ ხვდებიან, იცვლიან ბეწვს, ხოლო ფრინველები – ბუმბულს, მაგრამ, სამაგიეროდ, უხშირდებათ თბილი, სიცივეშეუვალი ყურთუკი. ეს უმეტესად ქათმისნაირ ფრინველებში ხდება. ზოგიერთ ფრინველს კი ეცვლება შეფერილობა. ფერების შეცვლა ერთგვარად იცავს მათ სიცივისაგან. გნოლთეთრა ფერს იცვლის და შავიზღვისპირეთში იზამთრებს. ფერს იცვლიან, აგრე-

გაგრძელება მე-14 გვ.

თვე, გედები, ბატები, იხვები და სხვა ფრინველები.

ბუნებაში დავანებული ძილქუში

ტყეში სამარისებური სიჩუმეა, ზამთარში ნადირები ღრმა და ხანგრძლივ ძილქუშს მისცემიან, ფოთლოვან ხეებსაც სძინავთ, მხოლოდ წიწვოვან ხეებს სძინავთ სანახევროდ, შეუმჩნევლად ფხიზლობენ, ამიტომაც არიან მარადმწვანენი.

ზამთრის მაოხლოებისას დათვები, მაჩვები, ზღარბები, ღამურები კანქვეშ იგროვებენ ცხიმს, მოკალათდებიან ბუნაგებში, ხის ფუღუროებში, გამოქვაბულებში, სოროებში და ეძლევიან ზამთრის ძილქუშს. მღრღნელები ზამთრის წინ 2-3 კილოგრამამდე მარცვლეულს იმარაგებენ.

მაჩვი ზამთრისთვის ქონს იმარაგებს და ნახევრად ძილს ეძლევა. ზამთრის თბილ დღეებში სოროდან გამოდის და იქვე წევს, მზეზე თბება, საღამოთი კი ისევ სოროში შედის. სოროს სუფთად ინახავს – მის გვერდით აშენებული აქვს „საპირფარეშო“, რომელიც ბილიკითაა დაკავშირებული სოროსთან. სპეციალურ „საკუჭნაოში“ საკვების მარაგი აქვს – წინასწარ გამხმარი ბაყაყები, ხოჭოები, რკო...

თხუნელა სოროში ფოთლებსა და ბალახებს აგროვებს.

ციყვი იმარაგებს რკოს, სოკოს, თხილს, მაგრამ ზოგჯერ ეს მარაგი არ ყოფნის და აქეთ-იქით დაეხეტება საკვების საშოვნელად.

მგელი, მელია, კვერნა მართალია, არ იძინებენ, მაგრამ ზამთრის შესახვედრად მაინც ემზადებიან. იცვლიან ძველ ბალანს, ახალი ამოსდით და „თბილ ქურქში“ ეხვევიან; მერე დღე და ღამე დაძრწიან ტყე-ღრეებში, მინდვრებსა და სოფლებში საკვების მოსაპოვებლად.

ფუტკარი ზამთარში დინდგლით ლესავს ყველა ხვრელს, ობობები ეშვებიან სოროებში და ხანგრძლივ ძილს ეძლევიან. ბაყაყები ფსკერზე ჩადიან, შლამში ეფლობიან და მთელ ზამთარს იქ ატარებენ, ხოლო ხმელეთის ბაყაყები შეძვრებიან თავიანთი მოსისხლე მტრის, გველის ბუნაგში და მათთან ერთად ჩახუტებულებს სძინავთ, ზოგჯერ კი ხვლიკის სოროში ძვრებიან. ვასაკა თავს აფარებს ხის ფუღუროებს, ქვის გროვებს, მიწაზე მოფენილ ფოთლებს. ტრიტონები ტყის ბალახებისა და ფოთლების ქვეშ იძინებენ.

ხანგრძლივი, დიდთოვლიანი ზამთარი განსაკუთრებით ემუქრება უმწეო ნადირებს – შვლებს, ირმებს... ისინი თოვლში საკვებს ვეღარ პოულობენ, ამიტომაც მიეშურებიან ქვევით, ბარისაკენ, განსაკუთრებით ეტანებიან სოფლებს, იმედი აქვთ, რომ ადამიანები შიმშილისაგან იხსნიან, საკვებს მიაწვდიან. ცხადია, კეთილი ადამიანები დახმარებას აღმოუჩენენ, მაგრამ გამოუჩნდებიან ხოლმე ბოროტებიც და უმოწყალოდ ხოცავენ ცხოველებს... ზამთრის შესახვედრად ემზადებიან მეტყევეები, ეგერები, კეთილი ადამიანები: ტყეში შეაქვთ თივა, მარილი, ხორბლეული და განსაკუთრებულად ფხიზლობენ.

ნეს ვინატრებდი საახალწლოდ ...

მე მინდა ახალი წელი იყოს ბედნიერი, მამამ მომიტანოს დიდი ნაძვის ხე და ბევრი ტკბილეული, ახალ წელს შევხვდე ჩემს ოჯახთან ერთად, მოგვივიდეს ბევრი სტუმარი. კიდევ მინდა, რომ თოვლის ბაბუამ კარგი საჩუქრები მომიტანოს, ვინატრებდი, რომ ამ ახალი წლიდან საქართველოში იყოს მშვიდობა და ყველა ბავშვი ბედნიერი იყოს.

გიორგი მასხარობლიძე, ლიცეუმი „დავითი“, III კლასი.

ჩემი საახალწლო სურვილია იყოს მშვიდობა. კიდევ მინდა, თოვლის ბაბუამ საახალწლოდ მომიტანოს კომპიუტერი და გავერთო ჩემს თანატოლებთან ერთად.

იცით, რას ვთხოვდი კიდევ ახალ წელს? მინდა ამ წელს ჩემს თამრიკო მასწავლებელს ჰქონდეს თავისი ბინა, რომ მის თვალებში სევდას არ ვხედავდე, რომ ის მუდამ მხიარული იყოს.

მარი კაპანაძე, სკოლა-ლიცეუმი „დავითი“, II კლასი.

მე ვინატრებდი ახალი წლის ღამეს თოვლის ბაბუამ მომიტანოს ნატვრის თვალი, ამისრულოს ბევრი სურვილი. ვინატრებდი, რომ მყავდეს პატარა ლეკვი, რომელიც იქნებოდა ჩემი მეგობარი, კიდევ ვინატრებდი, რომ ვიყო ბედნიერი დედიკოსთან და მამიკოსთან.

ანა გულიაშვილი, სკოლა-ლიცეუმი „დავითი“, III კლასი.

ერთი თქვენგვანი

საკუთარი თავის იმედი კი ჰქონდა, მაგრამ ასეთ წარმატებას თვითონ ნამდვილად არ ელოდა.

ოჯახშიც, სკოლაშიც და მეზობელ-ნათესავებშიც ისე მიეჩვივნენ ანას წარმატებებს, რომ მისი ეს მიღწევა დიდად არც გაჰკვირვებიათ, მისგან სხვას არც არაფერს ელოდნენ. არადა, ამჯერად გოგონამ მართლაც ძალიან იყოჩაღა. ხუმრობა ხომ არ არის - წელს საქართველოში ათასობით მეცხრეკლასელმა ჩააბარა გამოსაშვები გამოცდები ახალი მეთოდით და ამ ათასებში ყველაზე მაღალი შეფასება - 300 შესაძლო ქულიდან 295 - სწორედ მან, ქ. თელავის მე-9 საშუალო სკოლის მოსწავლემ ანა მამუკელაშვილმა დაიმსახურა. საერთოდ წლევანდელი წელი ამ გონიერი, ნიჭიერი და შრომისმოყვარე გოგონას დიდი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის წელი გამოდგა. ჯერ იყო და ანამ ოთხ საგნობრივ რესპუბლიკურ ოლიმპიადაში (მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და გერმანულის) - მიიღო მონაწილეობა და ოთხივეში დიპლომები მოიმკა. ამასთან თელაველმა მოსწავლემ გერმანულის ისეთი ცოდნა გამოამჟღავნა, რომ მას უყოყმანოდ გადასცეს პირველი ხარისხის დიპლომი. ამას მოჰყვა წარმატება სოროსის სუპერტურში ბიოლოგიაში და ბოლოს - გამარჯვება გერმანიაში სასწავლებლად წამსვლელთა შესარჩევ კონკურსში, რომლის წყალობითაც მომავალი წლის იანვრიდან ანა

ანა მამუკელაშვილი

მამუკელაშვილი ქალაქ ბიბერახის გიმნაზიაში გააგრძელებს სწავლას. დიახ, აი ასე - თელავიდან პირდაპირ ბიბერახში! არ უნდა გაგიკვირდეთ, იმიტომ რომ ნიჭიერებასა და გონიერებასთან ერთად ანა საოცრად შრომისმოყვარე და მიზანსწრაფულია, ეს კი გადამწყვეტია ნებისმიერი წარმატების მისაღწევად. იცით, რა უპასუხა ანამ, როცა გამოცდებზე გამარჯვება მიულოცეს და ჰკითხეს, რას განიცდიო? თავიდან ვერც კი დავიჯერე, მერე კი ძალიან გამიხარდა, კმაყოფილი ვარ, შრომა რომ დამიფასდაო. ხედავთ? - შრომა რომ დამიფასდაო... ანა მართლაც ბევრს შრომობს, ყველა საგანში ერთნაირი მონდომებით, სისტემატურად მეცადინეობს, თავად სწავლის პროცესი, ცოდნის შეძენა ძალიან მოსწონს და სიამოვნებს, ხოლო რაკი მთელ სკოლაში გამორჩეულ მოსწავლედ ითვლება, უდიდეს პასუხისმგებლობასაც გრძნობს და თავს მოდუნების უფლებას არასდროს აძლევს.

ანას ცეკვაც ძალიან უყვარს, განსაკუთრებით - თანამედროვე და სამეჯლისო ცეკვები, ანსამბლ "გრაციაშიც" ცეკვავდა (ანამ და მისმა სტუდიელმა მეგობრებმა 2001 წელს თბილისში გამართულ თანამედროვე და სამეჯლისო ცეკვების რესპუბლიკურ კონკურსში გრან-პრი დაიმსახურეს) და წარმატებებსაც აღწევდა. მაგრამ როცა არჩევანის წინაშე დადგა, ცეკვები დათმო და მთელი დრო სწავლა-განათლებას მიუძღვნა. თუმცა, როგორც კი შემთხვევა მიეცემა, მთელი გატაცებით ცეკვავს ხოლმე.

ანა ძალიან ხალისიანი და კარგი საურთიერთობო ადამიანია, ამიტომაც ბევრი მეგობარ-ამხანაგი ჰყავს და თუმცა ყოველთვის დაკავებულია ხოლმე, მათ წრეში ყოფნას მაინც ხშირად ახერხებს. რა გასაკვირია, რომ ცოდნას მოწყურებულ გოგონას ძალიან უყვარს წიგნები და ბევრს კითხულობს როგორც მხატვრულ, ისე სპეციალურ ლიტერატურას.

არ იფიქროთ, წარმატებებსა და მიღწევებს თავბრუ დაეხვიოს, გაეყოყოჩებინოს. არამც და არამც! ანა დღესაც ისეთივე თავმდაბალი, გულგახსნილი და უშუალოა, როგორც ყოველთვის.

ანას ყველაზე დიდი ოცნება და სურვილია გამთლიანებულ და აყვავებულ საქართველოში ცხოვრება, იგი მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს სამშობლოს აღორძინებაში და სხვებსაც აქეთკენ მოუწოდებს.

კითხვა-თქვენი

ვპასუხობთ ბოლნისელი მოსწავლეების შეკითხვას

მსოფლიოს შვიდი საოცრება

რა არის „მსოფლიოს შვიდი საოცრება?“ იქნებ რაღაც ლეგენდებსა და ფანტაზიებზეა ლაპარაკი? რაღაც იდუმალსა და გამოუცნობზე, იმაზე, რაც არასოდეს არ ყოფილა? არა! შვიდი საოცრება ნამდვილად არსებობდა, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც სასწაული იყო. ყველაზე უფრო სასწაულებრივი მათში ის არის, რომ ყოველივე ეს, ადამიანის ხელითა და გონებით არის შექმნილი.

ძველი დროის დიდოსტატებმა იმდენი დიდებული შედევრი შექმნეს, რომ ადამიანმა ძალიანაც რომ მოინდომოს მათში უმნიშვნელოვანესის არჩევა, საგონებელში ჩავარდება. მაგრამ მაინც არსებობს ერთი, საერთოდ აღიარებული კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც „მსოფლიოს შვიდ საოცრებას“ შემდეგ ქმნილებებს მიკუთვნებენ: ეგვიპტის პირამიდებს, ბაბილონის დაკიდულ ბაღებს (სემირამიდის ბაღებს), არტემიდე ეფესელის ტაძარს, ოლიმპიელი ზევსის ქანდაკებას, ჰალიკარნასის მავზოლეუმს, როდოსის კოლოსს, ალექსანდრიის შუქურას.



სემირამიდას კიდული ბაღები

ეგვიპტის პირამიდები. თითქმის ხუთი ათასი წელია დგას ხუფუს პირამიდა. მისი სიმაღლე 147 მეტრია (ამჟამად მისი მწვერვალი ჩამოქცეულია და 137 მეტრს არ აღემატება), ხოლო თითოეული გვერდის სიგრძე – 233 მეტრი. პირამიდას რომ ირგვლივ შემოვუაროთ, კილომეტრი უნდა გავიაროთ. იგი ორი მილიონ სამასი ათასი უზარმაზარი ლოდისაგან არის აგებული. მშენებლობაში ხსნარი და დუღაბი არ არის გამოყენებული. ქვები ერთმანეთზე საკუთარი სიმძიმით არის დამაგრებელული. ძველი ეგვიპტელები პირამიდებს ფარაონების სამარხად აგებდნენ.

ბაბილონის კიდული ბაღები. ბაბილონის ძველი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი იყო. ჯერ კიდევ ჰეროდოტე, რომელმაც ჩვენს ერამდე მეხუთე საუკუნეში მოიარა ბაბილონი, ამბობდა, ბაბილონის დედაქალაქი უმშვენიერესი და უმდიდრესიაო. უზარმაზარი, მაღალი გალავნით შემოზღუდულ ქალაქში, სასახლის გვერდით აგებული იყო საოცარი ნაგებობა – დაკიდული ბაღები. ბაღის საფეხურები იარუსებად ადიოდა მაღლა და ერთმანეთს ფართო კიბეებით უერთდებოდა. იქ აღმართული პალმები და განსაცვიფრებელი მარადმწვანე ხეები სასახლის კედლებს მაღლა სცილდებოდა. ამ ბაღების მოსარწყავად ასობით მონა დღედაღამ ქაჩავდა წყალს ევფრატიდან.

არტემიდა ეფესელის ტაძარი. ნადირობის ქალღმერთს არტემიდას მცირე აზიის მრავალ ქალაქში სცემდნენ თაყვანს. ეფესელებმა არტემიდასათვის დიდებული ტაძრის აგება გადაწყვიტეს და ეს არქიტექტორ ქერსიფრონს დაავალეს. არტემიდას ტაძარს 120 წლის მანძილზე აგებდნენ. მისი მშენებლობა 450 წელს (ჩვენს ერამდე) დამთავრებულა. იგი მრავალჯერ დაინგრა, მრავალჯერ აღადგინეს. ტაძარს გარშემო 127 სვეტი ერტყა. ტაძარი შიგნით და გარეთ გამოჩენილი ბერძენი მოქანდაკეებისა და მხატვრების ნამუშევრებით იყო დამშვენებული.

ოლიმპიელი ზევსის ქანდაკება

ოლიმპიელი ზევსის ქანდაკება. ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ოლიმპოში სპორტული შეჯიბრება იმართებოდა.

გაგრძელება მე-17 გვ.

მასში, ბერძნებთან ერთად, მეზობელი ქვეყნების გამოჩენილი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ (ოლიმპიური თამაშები 1896 წელს აღადგინეს). იქ აღმართული დიდებული



როდოსის კოლოსი

ტაძრის სიღრმეში იდგა ძველ დროში საქვეყნოდ განთქმული ქმნილება, უდიდესი ბერძენი მოქანდაკის ფიდიასის ნამუშევარი – ზევსის ქანდაკება. ამ კოლოსალური ქანდაკების სიმაღლე (ზევსი სავარძელში იჯდა) 17 მეტრს უდრიდა. იგი ხის, სპილოს ძვლისა და ოქროსაგან იყო გაკეთებული.

ჰალიკარნასის მავზოლეუმი. ჰალიკარნასი – კარის სამეფოს დედაქალაქი (ახალი თურქეთის ტერიტორია) – უდიდესი და ულამაზესი ქალაქი იყო. მაგრამ ამ ქალაქის მნახველებს ყველაზე მეტად მაინც მეფე მავსოლის დიდებული სამარხი ხიბლავთ. მავსოლი გარდაიცვალა დაახლოებით 353



ჰალიკარნასის მავზოლეუმი

წელს ჩვენს ერამდე. ქვეშევრდომთა წარმოუდგენელი ექსპლოატაციის შედეგად მავსოლმა თავი მოუყარა ზღაპრულ სიმდიდრეს და თავისთვის ისეთი ნაგებობა ააგო, რომლის სახელი, აგერ, ჩვენამდეა შემონახული. მავზოლეუმი დიდი, ოთხკუთხა შენობა იყო (სიგანე 66 მეტრი, სიგრძე – 77, სიმაღლე – 46 მეტრი უნდა ჰქონოდა). ფრიზზე გამოსახული იყო ბერძენთა ლეგიონების ბრძოლა ამორძალებთან.

როდოსის კოლოსი. როდოსელებმა იგი თავიანთ მფარველ ღმერთს, ჰელიოსს აუგეს. მოქანდაკე ქარესმა ჰელიოსი გამოაქანდაკა



ალექსანდრიის შუქურა

სიცოცხლით სავსე ტანსარაფანდაზის სახით, რომელსაც თავზე გვირგვინი ედგა. მისი სიმაღლე დაახლოებით 36 მეტრი იყო. კოლოსმა 56 წელს გაძლო. 222 წელს როდოსი ძლიერმა მიწისძვრამ დაზიანა და კოლოსიც მიწასთან გაასწორა.

ალექსანდრიის შუქურა. 332-331 წელს (ჩვენს ერამდე) ალექსანდრე მაკედონელმა დააარსა ელინისტური ეგვიპტის სახელგანთქმული დედაქალაქი ალექსანდრია. 280 წელს იქ შუქურა ააშენეს. ეს 120



ხეოფსის პირამიდა

მეტრის სიმაღლის სამსართულიანი კოშკი იყო, კირქვის დიდი ლოდებისაგან აგებული. პირველი სა-



არტემიდა ეფესელის ტაძარი

რთული რვაწახნაგოვანი იყო. იგი მარმარილოთი იყო მოპირკეთებული. შენობას გუმბათი აგვირგვინებლა. გუმბათზე ზღვათა მბრძანებლის პოსეიდონის შვიდმეტრიანი ქანდაკება იდგა.

პასუხი–ჩვენი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მადლობა და მილოცვა

თემქის III მიკრორაიონის II კვარტალში მდებარეობს თბილისის 142-ე საშუალო სკოლა, რომელსაც სათავეში უდგას ახალგაზრდა, გულისხმიერი, ენერგიული და უნარიანი დირექტორი, ბ-ნი სოსო ლაგვილავა. სკოლას თავისი არსებობის მანძილზე ბევრი კარგი და საქმის მცოდნე ხელმძღვანელი ჰყოლია, მაგრამ ამჟამინდელი დირექტორი მოსწავლეებისა და მშობლების გამორჩეული პატივისცემით სარგებლობს. სკოლის პედ.კოლექტივი ბ-ნი სოსოს ხელმძღვანელობით ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მაღალ დონეზე მიმდინარეობდეს. მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სისუფთავე, ცენტრალური გათბობა, ნათელი საკლასო ოთახები სწავლისათვის სასიამოვნო გარემოს უქმნის ბავშვებს. ძლიერი პედაგოგიური კოლექტივის სახით დირექტორს ერთგული თანამოაზრეები ჰყავს. პირველ რიგში ეს ითქმის დირექტორის მოადგილეზე სასწავლო აღმზრდელობით დარგში ქ-ნ ნათელა სიხარულიძეზე და ორგანიზატორზე ლელა ზუმბულიძეზე. ბავშვების დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობენ მარინა მეტრეველი, ლამარა თოდრაძე, სვეტა ჩიქოვანი, ქეთინო ჩიტიშვილი, როლანდ ქებურია, ჟუჟუნა ბერიაშვილი, მაკა ფარეიშვილი, ლამზირა ლაცაბიძე, ნინო მაჭავარიანი, სათუნა ოქელაშვილი, ნორა აბაკუმოვა, ანზორ კავკასიძე, მაია აფციაური, პეპელა ქართველიშვილი, ჟუჟუნა ხელაშვილი. ეს მათ საუკეთესო ცოდნით, მოსწავლეებისადმი გულისხმიერებით და თბილი დამოკიდებულებით დაიმსახურეს.

და მე მინდა, ჩემი ორივე შვილის, ირაკლი და ნანა ფიფიების, პირადად ჩემი და სხვა მშობლების სახელით დიდი მადლობა გადავუხადო მათ ამისათვის, მივულოცო ახალი წელი და ვუსურვო ბედნიერება და წარმატება საქმიანობაში

მარინა მირცხულავა

საახალწლო საჩუქრები

ახალი წლის დილაა,
ზამთარია, ცივა.
ირგვლივ ისმის სიმღერები,
ციდან ფიფქი ცვივა.
კარს მოგვადგა თოვლის ბაბუ
დატვირთული ჩანთით,
ბაბუს ჩანთა სავსე ჰქონდა
ტკბილი გოზინაყით.
ამოიღო, დაგვირიგა
თითო-თითო ცალი,
ჩურჩხელები, ნაზუქები,
კაკალი და წაბლი.
ტკბილეული ათასგვარი,
ბევრი, ბევრი თხილი,
უამრავი კანფეტები
და სხვადასხვა ხილი.
გაგვახარა ჰატარები
ციგებით და ბურთით,
და ახალი წელიწადიც
მოგვილოცა გულით.

ირაკლი ფიფია, თბილისის 142-ე საშ. სკოლა VI კლასი

სიხარული დაგებედოთ!

საახალწლოდ გვეგებება
ფანტელი,
სიმღერები კვლავ გაისმის
რამდენი,
გადიეარეთ ყველამ ცრემლი,
დარდები,
ორი ათასოთხი მოდის დამდეგი.
ჩვენი სკოლა ასორმოცდამეორე,
ცოდნისა და მეგობრობის
ლამპარი
ფხას გვინათებს, გვეხმარება
ვარკვიოთ
ბოროტება, ტყუილი თუ
მართალი.
ყველას, ყველას მოგილოცავთ
ახალ წელს,
სიხარული დაგებედოთ მრავალი,
მე ღმერთსა ვთხოვ ამ სკოლის
ჭერს ეხაროს,
ემაწვილთათვის დაელოცოს
საკალი!

ნანა ფიფია, თბილისის 142-ე საშუალო სკოლა, IV კლასი

თოვლის პაპას, სანტა-კლაუსის, წმინდა მიკოლაის და სხვების შესახებ

მისის სანტამ ბოლო რჩევა-დარიგებები მისცა ქმარს, ჩრდილო პოლუსზე სასაცილო და საყვარელმა ელფებმაც უკვე ჩაულაგეს საშობაო საჩუქრები სანტა-კლაუსს და ისიც



რვა ჩრდილოეთის ირემშებმული მარხილით დაადგა გზას. წლები გადის, სანტა კი სულ არ იცვლება – ყოველთვის მხიარული და ლოყაწითელია, არც სუქდება და არც ხდება, მუდმივ წონას ინარჩუნებს, 115 კილოგრამი რჩება. ცხადია, არც სიმაღლე ემატება თუ აკლდება, სანტა კვლავინდებურად 167,5 სანტიმეტრის სიმაღლისაა. ბევრს მიაჩნია, რომ სანტა 100 წელზე ხნიერია, თუმცა გაცილებით ახალგაზრდად გამოიყურება. სინამდვილეში იგი 1931 წელს დაიბადა, მისი მშობლები კი კომპანია „კოკა-კოლა" და მხატვარი ჰედონ სანდბლომი არიან. ამ უკანასკნელმა სანტა „კოკა-კოლას" სარეკლამო კამპანიისთვის აირჩია და ტანსაცმლის ფერებიც მისივე შეურჩია – წითელი და თეთრი.

სანტას წინამორბედებს კი ხან ელფების, ხან კეთილი ქონდრის კაცების, ხანაც ჰოლანდიელი მეზღვაურის სახით წარმოადგენდნენ და XIX საუკუნის შუა წლებამდე სენტ-ნიკოლასის სახელით მოიხსენიებდნენ.

არავინ იცის, რა ქონების მფლობელია სანტა-კლაუსი, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ყოველწლიურად ის მთელი მსოფლიოს ბავშვებისათვის განკუთვნილ საჩუქრებზე 240 მილიარდამდე დოლარს ხარჯავს, უნდა ვიფიქროთ, რომ ძალიან მდიდარია.

სანტას ძალიან უყვარს ნამცხვრები, მის ირმებს კი სტაფილო, ამიტომაც შობის ღამეს მათ სწორედ ამ ნუგბარს უტოვებენ ხოლმე.

პოლონელები ადრეულ ასაკშივე ეცნობიან თავიანთი თოვლის პაპის – წმინდა მიკოლაის წარმომავლობას. საეკლესიო წიგნების თანახმად, 270 წელს პატარში ერთ მდიდარ ოჯახში ერთადერთი ვაჟი დაბადებულა, რომლისთვისაც მიკოლაი დაურქმევიათ. ბიჭი თანატოლებისაგან განსაკუთრებული ღვთისმოსაობითა და ღარიბთა დახმარების სურვილით გამოირჩეოდა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ მიკოლაიმ მთელი მათი ქონება უქონელთ დაურიგა, თვითონ ეკლესიის მსახურება აირჩია და მოგვიანებით ეპისკოპოსის წოდებაც დაიმსახურა. მი-

კოლაის გარდაცვალების წელი ზუსტად არ არის ცნობილი, სავარაუდოდ იგი 6 დეკემბერს, 345-352 წლებს შორის გარდაიცვალა და წმინდანად იქნა აღიარებული. წმინდა მიკოლაი უშვილო ქალებისა და ბავშვების მფარველი გახდა. სიცოცხლეში მიკოლაი სიხარულის, ბედნიერების, კეთილი ამბების მაუწყებელი იყო, ხალხს ახალი სიცოცხლის დაბადებას ახარებდა, ახალი სიცოცხლის გაჩენის რწმენას უნერგავდა იმათ, ვისაც ამის იმედი აღარ ჰქონდა. სწორედ ამიტომ, ლეგენდის თანახმად, წმინდა მიკოლაის საგანგებო მისია დაავალეს – ქრისტეს შობა ახაროს ადამიანებს დედამიწაზე. წინასაახალწლო დღეებში ასობით ფირმა მკლავებდაკაპიწებული ირჯება წმ. მიკოლაის მოსამზადებლად, რომელსაც ყოველი ბავშვი ელოდება საჩუქრების მისაღებად. იმ მშობლებს, რომლებიც თვითონ იღებენ საკუთარ თავზე წმინდა მიკოლაის როლის შესრულებას, ფირმები შეახსენებენ: „გახსოვდეთ, თქვენი შვილი ყველაზე დიდი განძია მსოფლიოში და ის იმსახურებს იმას, რომ საუკეთესო მოგონებები დარჩეს თავის მშვენიერ ბავშვობაზე".

2000 წლიდან მოყოლებული, ყოველ 24 დეკემბერს რუსეთის ქალაქ კოსტრომაში ჩადის თოვლის პაპა – „დედ მაროზ", რათა სუსანინის მოედანზე შეხვდეს თავის შვილიშვილს ფიფქიას – სნეგუროჩკას და მასთან ერთად შემოიაროს სრულიად რუსეთი. პირველად ის XIX საუკუნის მიწურულს გამოჩნდა და მხოლოდ დიდ ქალაქებში სტუმრობდა, სოფლებსა და დაბებს კი გვერდს უვლიდა.

თოვლის პაპას სლავი წინაპრები – მოროზი, მოროზკო, სტუდენეცი ზამთრის ყინვების მბრძანებლები იყო. მათ ხან თეთრწვერა დაბალი მოხუცის, ხან გოლიათი მჭედლის სახით წარმოადგენდნენ. წლების განმავლობაში თოვლის პაპა საბოლოოდ გარუსდა, სამოგზაუროდაც ეჟვნებიანი რუსული „ტროიკა" აირჩია. დედ მოროზს ხშირი ვერცხლისფერი თმა და ასეთივე წვერი აქვს – რაც სიმდიდრის, ძლიერების და ბედნიერების სიმბოლოა, ბოლის კვერთხი კი იმას ნიშნავს, რომ მისი პატრონი წყლისა და

მთვარის მეუფეა. რუს თოვლის პაპას, ფრანგი პერ ნოელისგან, იტალიელი პაპა ნატალესგან, ფინელი იოულუპუკისგან და იგივე სანტა კლაუსისგან განსხვავებით, შვილიშვილი ჰყავს – სნეგუროჩკა, რომელიც საახალწლოდ ყოველთვის თან ახლავს ხოლმე მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამ მურადელი,
სკოლა-ლიცეუმი
„დავითი" IV კლასი

ღაუნდოუელი ადამიანები

ზამთრის სუსხიანი დღე იყო. ყველა სახლში შეყუჟულიყო. ქუჩები დაცარიელდა. აქა-იქ თუ დაინახავდით ქუჩაში მოსიარულეებს და ისინიც სახლისაკენ მიიჩქაროდნენ. მე ფანჯარასთან ვიდექი და ჩაფიქრებული გავცქეროდი ქუჩას. მოპირდაპირე შენობის სადარბაზოსთან პატარა ლეკვი დავინახე, რომელიც სიცივისაგან მობუზულიყო და გამვლელებს საცოდავად ათვალიერებდა, თითქოს დახმარებას სთხოვდა, მაგრამ მგზავრები მას ყურადღებას არ აქცევდნენ. უცებ მის ადგილას ჩემი თავი წარმოვიდგინე და გულში საშინელი ტკივილი ვიგრძენი. ძალიან მინდოდა მივსულიყავი ლეკვთან, მივფერებოდი და გულში ჩამეკრა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, რადგან დედა არ გამიშვებდა ქუჩის მაწანწალა ძაღლთან. მართალია, იგი ქუჩის მაწანწალა იყო, მაგრამ ისიც ხომ ცოცხალი არსება იყო, მასაც უნდოდა სითბო, სიყვარული და ალერსი. მიხვდი, რომ ადამიანთა უმეტესობა დაუნდობელი და შეუბრალებელია. ალბათ, უკეთესი იქნებოდა, თუ ადამიანები ცოცხალი არსებების მიმართ ყურადღებიანი და მგრძნობიარენი ვიქნებოდით.

შემოდგომის სევდა

აი, ნელ-ნელა ზაფხულიც მიილია და ასეთივე ტემპით მოიპარება შემოდგომა. ხასხასა, მწვანე ფოთლებმა შეყვითლება და ძირს ცვენა იწყეს. ტყეში სეირნობა უფრო სასიამოვნო გახდა, მიწა თითქოს ჭრელი ძაფებით მოქარგული ხალიჩით იმოსება. ხილმა დამწიფება იწყო. შემოდგომის მოსვლით ყველა ადამიანი როდია გახარებული, გაბრაზებული მეეზოვე ბუზღუნით მიუყვება და გვის ტყისპირა გზებს. კაცებმა მარანს მიაშურეს. შემოდგომით ტკბობის ბედნიერება დიდ ხანს როდი გრძელდება, სულ რაღაც სამ თვეში, აბობოქრებული, გახარებული ზამთარი ხარხარით მოზიდავს ყინულის ისრებს და როდესაც შემოდგომა გაიპარება, სტყორცნის ისარს მიწას და მოხუცის ჭაღარასავით გადაათეთრებს იქაურობას. მერედა ვისღა გაახსენდება საბრალო შემოდგომა? ბავშვები ბედნიერნი გუნდაობენ, ციგაობენ. შემოდგომა კი დაღვრემილი მიიპარება სხვა მხარეს და ფიქრობს: – უფალო, რა წუთიერი ბედნიერების დრო მომეცი, როგორ მეჯავრება ზამთარი!

მე კი შემოდგომა და ზამთარი ერთნაირად მიყვარს და მუდამ ასე იქნება!

თამარ გაბაიძე,
სკოლა „სარკმელი",
VII კლასი

განცხადებული სიყვარული სამშობლოსადმი

სამშობლო ეს არის ენით აუწერელი რამ, რომლის გარეშეც ადამიანი ვერ იცოცხლებს და თუ იცოცხლებს, მის სიცოცხლეს არავითარი აზრი არ ექნება. სამშობლოს გარეშე ადამიანი არარაობაა, იმიტომ რომ ადამიანი სტუმარია ამ ქვეყანაზე, სამშობლო კი მასპინძელი და ადამიანი უნდა ეცადოს, რომ სამშობლოსთვის სასურველი სტუმარი იყოს და ამ ხანმოკლე სტუმრობის მანძილზე რამე სასიკეთო გააკეთოს მისთვის და როცა იგი ამ ქვეყნიდან წავა, სამშობლომ იგი კარგად მოიხსენიოს და ინატროს მისნაირი სტუმრები. ადრე თუ გვიან სამშობლოს ადამიანის დახმარება დასჭირდება და ადამიანმაც დახმარება უნდა გაუწიოს. მას შეიძლება სამშობლოსთვის თავის გაწირვაც მოუხდეს, მაგრამ მან ეს უნდა გააკეთოს იმიტომ, რომ ეს მისი ვალია და ვალს წმინდად მოხდა უნდა.

ირაკლი გვრიტიშვილი,
სკოლა „სარკმელი",
VIII კლასი

შენზე ფიქრით რამ ათენებს

კვლავაც მხნე, თამარ მასწავლებელო!

ფოტო არქივიდან

ვინ მოთვლის, გოგო-ბიჭების რამდენმა თაობამ გამოიარა თამარ ხელაძის ხელში მისი მასწავლებლობის 63 წლის მანძილზე. არა, არაფერიც არ შეგვშლია, თამარ მასწავლებელი 80 წლისაა და 63 წელია სკოლაში ასწავლის.

მასწავლებლობაზე ბავშვობიდანვე ოცნებობდა. დასვამდა ძულუხში (ქ-ნი თამარი ვანის რაიონის ამ სოფელში დაიბადა) თავის მეგობრებს, მეზობლის ბავშვებს და გაკვეთილებს უტარებდა, მასწავლებლობანას თამაშობდა. მომავალი პროფესიის არჩევაში გარკვეული როლი მამიდამაც ითამაშა, რომელიც ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლაში ასწავლიდა. ოცნება ქ.ქუთაისის პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ აიხდინა, პირველი გაკვეთილი კი 1941 წელს ჩაატარა. ექვსი წელი იმუშავა საქართველოს სხვადასხვა რაიონის სკოლებში დაწყებითი კლასების მასწავლებლად, 1947 წლიდან მოყოლებული კი თბილისის 55-ე საშუალო სკოლაში ასწავლის (1954 წლამდე ამ სკოლას მე-6 ვაჟთა ერქვა). თამარ მასწავლებელი დღესაც მოწიწებითა და პატივისცემით იხსენებს სკოლის მაშინდელ დირექტორს იპოლიტე სურგულაძეს, რომლის დროსაც სკოლაში დისციპლინაც და სწავლებაც უმაღლეს დონეზე იყო. ხალისით და გატაცებით მუშაობდა, ყოველთვის პირღიმილიანი შედიოდა კლასში, სიამოვნებით ასწავლიდა თვალმახარა გოგო-ბიჭებს ანაბანას, წერა-კითხვას, სიკეთეს, სიყვარულს, უფროსების პატივისცემას, ზრდილობას. ბავშვებსაც ძალიან მოსწონდათ თამარ მასწავლებელი, სიყვარულზე სიყვარულითვე პასუხობდნენ და როცა მასთან განშორების ჟამი დგებოდა, თვალცრემლიანები ეთხოვებოდნენ, თუმცა თბილი გრძნობა, მადლიერება პირველი მასწავლებლისადმი, მისი პატივისცემა სამუდამოდ რჩებოდა მათ გულებში. ასეთი გრძნობით იხსენებენ თამარ მასწავლებელს პეტრე ჩხეიძე (საქართველოს ელჩი დიდ ბრიტანეთში), ზურაბ აბაშიძე (საქართველოს ელჩი რუსეთში), კონსტანტინე ზალდასტანიშვილი (საქართველოს წარმომადგენელი ევროსაბჭოში), ვანო ზოდელავა (ქ.თბილისის მერი), ნინო გურიელი (მოჭადრაკე), ეთერ ანჯაფარიძე (პიანისტი), ნანი ჩიქვინიძე (მსახიობი), თემურ გოცაძე (მხატვარი) და ბევრი სხვა მისი ნამოწაფარი, რომლებსაც აქტიური წვლილი შეაქვთ საქართველოს აღმშენებლობაში.

მრავალი ჯილდო, მედალი, სიგელი თუ დიპლომი, მრავალი საპატიო წოდება აქვს მიღებული ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე თამარ ხელაძეს, მათ შორის ღირსების ორდენიც, მაგრამ როგორც თავად ამბობს, დიდ სიხარულს სწორედ მისი ნამოწაფრების წინსვლა-წარმატებები ანიჭებს. მხნეობას და ხალისს თამარ მასწავლებელს დღევანდელ მოსწავლეებთან ერთად სხვადასხვა თაობის ნამოწაფარებიც ჰმატებენ, რომლებიც არ ივიწყებენ, დაურეკავენ, შემოუვლიან, მოიკითხავენ, თავს შეახსენებენ, მიესიყვარულებიან, ქათინაურს ეტყვიან, ჯანმრთელობას და ბედნიერებას უსურვებენ.

თამარ ხელაძე დღესაც ერთგულად ემსახურება ერთხელ არჩეულ საქმეს. ბევრი ახალგაზრდა კოლეგა შენატრის მის მაღალ პროფესიონალიზმს და ულევ ენერგიას, მისი პასუხისმგებლობა დღესაც ბევრისთვის სამაგალითოა.

რას ვინატრებდი ცხოვრებისგან ...

მე უკვე გავიზარდე და აღარ მჯერა ჯადოსნური ჯოხების, მფრინავი ფერიების თუ თოვლის პაპის, მაგრამ ახალი წლის ღამეს ისევ ბავშვური ფიქრებით ვარ სავსე და ღმერთს ვთხოვ, რომ ასეთი ზღაპრული ახალი წელი და დღე გათენდეს. დაე, მომავალი წელი სიკეთის, ბედნიერების, დიდი იმედების და სიყვარულის მომტანი იყოს. მე კი ხუთებზე მესწავლოს, რათა გავახარო ჩემი მშობლების, ჩემი მასწავლებლების გული.

ელენე ჩოთალიშვილი,
სკოლა „ათინათი", VI კლასი

რას ვინატრებდი? ულევ სიხარულს, ულევ სიყვარულს და ულევ ბედნიერებას. დაე, ძველმა წელმა ყველაფერი ცუდი და ძველი წაიღოს, ახალ წელს ხომ ბავშვები იმედით ვხვდებით. მინდა, რომ ჩემი ოჯახი ახალ წელს სიხარულით შეხვდეს. მინდა, ვიცხოვრო ბედნიერ და აყვავებულ ქვეყანაში... მინდა, რომ ჩემი ქალაქის ქუჩებში აღარ დადიოდნენ მათხოვრები და ყველა ბავშვმა მიიღოს საჩუქრები. საახალწლოდ ბევრი ნატვრა მაქვს... ნეტავ რომელი ამისრულდება?!

დავით ალიმბარაშვილი,
სკოლა-ლიცეუმი
„დავითი", V კლასი.

ახალი წელი ძალიან მიყვარს და ძალიან მინდა არსებობდეს თოვლის ბაბუა. მე ვნატრობ, რომ ახალ წელს ჩემი დედა, მამა და დაიკო კარგად იყვნენ. ძალიან ლამაზია ახალი წლის ღამე. ჩემთვის ყველაზე კარგია დისა და მშობლების კარგად ყოფნა და ყოველ ახალ წელს სიურპრიზს ვუმზადებ მათ. მთელ საქართველოს ვულოცავ დამდეგ ახალ წელს!

თამთა გაჩეჩილაძე,
სკოლა-ლიცეუმი
„დავითი", III კლასი

გიმნაზია, ლიცეუმი, სემინარია, კოლეჯი...

კარგა ხანია, რაც საქართველოში საბჭოთა ეპოქაში დამკვიდრებული საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გვერდით კვლავ გაჩნდა გიმნაზიები, სემინარიები, ადრინდელი პროფტექნიკური სასწავლებელები და ტექნიკუმები კი ლიცეუმებმა და კოლეჯებმა შეცვალა. ამ სასწავლებლებში უნდა დაეუფლონ ჩვენი ყმაწვილები იმ ცოდნის საფუძვლებს, რომლებიც შემდგომში ცხოვრებაში სავალი გზის ამორჩევაში უნდა დაეხმაროს მათ.

გიმნაზია. ბერძნული სიტყვაა gymnasion თავდაპირველად სატანვარჯიშო მოედანს აღნიშნავდა, შემდგომში კი გიმნაზია ეწოდა ძველ საბერძნეთსა და ელინისტურ აღმოსავლეთში არსებულ მკვეთრად გამოხატული ჰუმანიტარულ-ფილოლოგიური განხრის სახელმწიფო სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებს.

პირველი გიმნაზია 1538 წელს გაიხსნა სტრასბურგში, მერე კი სასწავლებლის ეს ტიპი მთელ ევროპაში გავრცელდა. ვინაიდან გიმნაზიებში კლასიკური ენები ისწავლებოდა, მათ კლასიკურს უწოდებდნენ. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე გიმნაზია საშუალო სასწავლებლის გაბატონებული ტიპი იყო.

ჩვენში პირველი გიმნაზია 1830 წელს გაიხსნა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ბაზაზე და მას თბილისის პირველი გიმნაზია ეწოდა. დირექტორად დაინიშნა ევერესტ გრუბერი, რომელიც მანამდე „ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელს" ხელმძღვანელობდა. გიმნაზია შვიდკლასიან სასწავლებელს წარმოადგენდა. მისი პირველი კლასი მოსამზადებლად იყო მიჩნეული, II და III კლასებს სამაზრო ეწოდებოდა, საკუთრივ გიმნაზიურს კი IV-V-VI-VII კლასები შეადგენდა.

„თბილისის გიმნაზიაში, გარდა ჩვეულებრივი ზოგადსაგანმანათლებლო საგნებისა, ისწავლებოდა ქართული და თათრული ენები, რუსეთის სამართლისმცოდნეობა და სამართლის წარმოება, რაც განსაზღვრულ მიზანდასახულობას აძლევდა გიმნაზიას, მოემზადებინა ახალგაზრდობა სახელმწიფო სამსახურისათვის".

ახალგახსნილ გიმნაზიაში ყველა მოწაფე გამოცდებით იქნა მიღებული. სასწავლო წელი 1 სექტემბერს იწყებოდა და 1 ივლისს მთავრდებოდა. არდადეგების დროდ ივლის-აგვისტო იყო დადგენილი. მეცადინეობა წარმოებდა ყოველდღე – კვირა-უქმის გარდა, დილით და ნასადილევს, ერთსა და იმვე დროს, შაბათსა და სხვა უქმე დღეების წინ ნასადილევს მეცადინეობა არ ტარდებოდა. გაკვეთილი საათნახევარს გრძელდებოდა, სულ კი მოსწავლეებს დღეში ოთხი გაკვეთილი ჰქონდათ.

ატესტატი სამგვარი იყო: 1. ბრწყინვალე წარმატებისა (ეძლეოდა იმას, ვინც ყველა გამოსაშვებ საგანში „ხუთიანს" იმსახურებდა), 2. მოწონებული წარმატებისა (ეძლეოდა იმას, ვინც გამოცდებზე „ოთხიანზე" ნაკლებს არ მიიღებდა), 3. საკმაო წარმატებისა (ვინც „სამიანზე" ნაკლებს არ მიიღებდა).

მრავალი სახელოვანი მამულიშვილის აღმზრდელმა ამ სასწავლებელმა მოგვიანებით, როცა გიმნაზიები გაუქმდა, სახელი შეიცვალა და ბოლო დრომდე მას №1 საშუალო სკოლა ეწოდებოდა. საქართველოში, კერძოდ განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შედეგად, ამ სასწავლებელმა კვლავ დაიბრუნა უწინდელი სახელი და მას კვლავ გიმნაზია ჰქვია.

1850 წელს ვაჟთა გიმნაზია გაიხსნა ქუთა-

გაგრძელება 23-ე გვ.

ისშიც, მოგვიანებით დაარსდა თბილისის ქალთა I გიმნაზია, ოცი წლის შემდეგ დაარსდა სოხუმის ქალთა პროგიმნაზია. ამას მოჰყვა თბილისის ქალთა II და თბილისის ვაჟთა II, III გიმნაზიები, გორის ქალთა პროგიმნაზია და სხვა.

პროგიმნაზია – არასრულ გიმნაზიას წარმოადგენდა და იგი ოთხ, იშვიათად კი ექვსკლასიანი იყო. პროგიმნაზიის დამთავრების შემდეგ მომდევნო კლასში უგამოცდოდ მიიღებოდნენ. გიმნაზიის ოქროს და ვერცხლის მედალოსნებს უნივერსიტეტში პირველ რიგში რიცხავდნენ, დანარჩენებს კი ატესტატების კონკურსის საფუძველზე.

1864 წლიდან მოყოლებული, დამკვიდრდა გიმნაზიის სამი ტიპი: ბერძნული ენის გაძლიერებული სწავლებით, ლათინურის გაძლიერებული სწავლებით და რეალური გიმნაზიები. ამ უკანასკნელი ტიპის გიმნაზიაში ძველ ენებს არ ასწავლიდნენ, სამაგიეროდ გაძლიერებულად ისწავლებოდა საბუნებისმეტყველო დისციპლინები. პირველი ორი ტიპის გიმნაზიადამთავრებულებს უფლება ჰქონდათ ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში გაეგრძელებინათ სწავლა, რეალური გიმნაზიის კურსდამთავრებულებს კი – მხოლოდ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში შეეძლოთ შესვლა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში გიმნაზიები დაიხურა, შესაბამისად შეწყდა მათი არსებობა საქართველოში 1921 წლიდან.

ლიცეუმი (ბერძნ. Lykeion) – ერქვა ათენის აღმოსავლეთ გარეუბანში არსებული აპოლონის ტაძრის ჭალას და იქვე მოქმედ სკოლას, სადაც არისტოტელე ასწავლიდა.

ამ ტიპის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებები ფართოდ არის გავრცელებული დასავლეთ ევროპის, ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებში.

რევოლუციამდელი რუსეთის ლიცეუმი პრივილეგირებულ სასწავლებელს წარმოადგენდა და ვაჟებისათვის იყო განკუთვნილი. აქაური ლიცეუმები უმაღლეს სახელმწიფო მოხელეებს ამზადებდა. ცნობილი იყო ცარსკოე სელოს (აქ ალექსანდრე პუშკინი სწავლობდა), ოდესის რიშელიეს და ქ. იაროსლავის ლიცეუმები.

სემინარია (ლათ. Seminarium) ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობაა სანერგე, გადატანითი კი სკოლა.

დღეს სემინარია ზოგიერთ სპეციალურ სასწავლო დაწესებულებას ჰქვია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში არსებობდა სასულიერო, სამასწავლებლო ანუ საოსტატო სემინარიები.

კოლეჯი (ინგლ. College) – ამ ტიპის სასწავლო დაწესებულებები ძირითადად დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებშია გავრცელებული. არსებობს სამგვარი კოლეჯი – პირველი მათგანი უმაღლეს სასწავლებელს შეესატყვისება, მეორე საშუალო სასწავლებელია, საშუალო სკოლასა და უმაღლესს შორის, მესამე სახის, საშუალო სკოლის შესატყვისი კოლეჯი 16 წელზე უფროსი ასაკის ახალგაზრდებისათვის არის განკუთვნილი.

კოლეჯი XIII საუკუნეში აღმოცენდა დიდ ბრიტანეთში, სადაც თავისი ტრადიციული სახით ძველ უნივერსიტეტებში არის შენარჩუნებული (ოქსფორდი, კემბრიჯი, და სხვა). კოლეჯდამთავრებულ ახალგაზრდას ბაკალავრის ხარისხი ენიჭება. ზოგადი განათლების გარდა, კოლეჯის მოსწავლე რომელიმე სპეციალობასაც იძენს.

გიმნაზია, ლიცეუმი, სემინარია, კოლეჯი...

ლიტერატურული

შალვა ფოლისხიძე

რამდენი ფიფქიც მოწყლავა ზეცას

თითქოს მირს ფეხად ჩამოდის ზეცა,
თოვს, –
საახალწლოდ
თოვლს ვინ არ ნატრობს!
რამდენი ფიფქიც მიწას დაეცა,
იმდენი ტკბილი დღე შეგემატოთ!
თოვს, მიწა თეთრად მორთულა
წუხელ,
მოდით,
გახედეთ მთებსა და სერებს...
დღეს ჩაშაქრებულს გაჭშვევთ
ჩურჩხელებს,
თქვენც ასე ტკბილად რომ
დამიბერდეთ!
თოვს,
საახალწლოდ თოვლი კარგია,
ქარი გუგუნით ფიფქებს აერის ხევს...
თქვენ კი სიცილით დილაადრიან
გარს უვლით
თეთრად მორთულ ნაძვის ხეს.
ნახეთ,
ბაბუაც თქვენ შორის ცეკვავს,
ნუ გიკვირთ მისი წვერის სითეთრე
რამდენი ფიფქიც მოწყდება ზეცას,
იმდენი ტკბილი დღე გაგითენდეთ!
იმდენ ახალ წელს შეგასწროთ
ბედმა,
რამდენი ფიფქიც დაცვივა ირგვლივ,
ღმერთმა გიცოცხლოთ
სამშობლო,
დედა,
და მშობლიური ენა და წიგნი!...

შობა-ახალ

წელს

გილოცავთ!

მრავალს

დაესწროთ

ბედნიერ

და

აღორძინებულ

საქართველოში!

ციმონ შამფრიანი

გაიხარეოს მიწამ მშობელმა

შემოცისკარდა,
შემობრძანდა ახალი წელი,
დალოცოს რათა
ჩვენთა სახლთა
ფუძე და ჭერი,
ირგვლივ ეოველი –
მთა თუ ჭალა,
კორდი თუ ველი –
ააყვავილოს, ალამაზოს
ათასი ფერით;
და, ვით აქამდე დაგვხაროდა
ცა მოწყენდილი,
ამიერითაც თვალს ხიბლავდეს
ლაჟვარდი წმინდა,
მზეს არ დაჩნდეს
თუნდაც ერთი შავი წერტილი,
მხრებგაშლილებმა ვიოცნებოთ,
ვისუნთქოთ მშვიდად;
ვისწავლოთ ისე,
ეკადრება ვითარცა ქართველს,
ვიშრომოთ ისე,
გაიხაროს მიწამ მშობელმა,
თითოეული ვცავდეთ ლაღი
შაგარდნის მართვეს,
ფრთებს რომ იწაფავს
სიმაღლეთა დასაპყრობელად.
მაშ მივცეთ მხარი
ეოველ რიჟრაჟს ამ წელიწადის
ზნით ღირსეულით,
შრომა-გარჯით,
ცოდნისკენ ლტოლვით,
და კიდევ უფრო გვიყვარდეს,
გვწამდეს
მამული ჩვენი –
თავისი მზით,
თავისი თოვლით!

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ

საახალწლო მოთხრობა-ხუმრობა

31 დეკემბრის დამეს ქალაქის მახლობელ ტყეში უხმაუროდ დაეშვა საპლანეტაოშორისო ხომალდი. იგი დამცავი ველით იყო გარემოცული და ამიტომაც დარჩა ლოკატორებისათვის შეუმჩნეველი. დაეშვა და შენიღბვის მიზნით უმალ ტოტებდათოვლილ უზარმაზარ ნაძვად გადაიქცა. ხომალდის მეთაურმა, ვარსკვლავთა სივრცეების პირველი რანგის დამსახურებულმა დამპყრობმა, ინგმა ეკიპაჟი შეკრიბა და გამოუცხადა:

–მეგობრებო! – მღელვარებისაგან ინგს სახე ცისარტყელის ფერებად აუჭრელდა. – ჩვენი ამოცანაა დავადგინოთ:

პირველი – სახლობენ თუ არა ამ პატარა სიმპათიურ მწვანე პლანეტაზე გონიერი ადამიანები?

მეორე – თუ ასეთები არიან, – როგორია მათი ინტელექტის დონე?

–ამოცანა ნათელია?

–ნათელია! – იყო ეკიპაჟის პასუხი

–მაშინ ვიწყებთ დაზვერვას. ჩვენ ოთხნი ვართ. წესდების თანახმად, ხომალდზე გამუდმებით უნდა იმყოფებოდეს ეკიპაჟის ნახევარი. ვის სურს, ვინ და ვინ წავლენ პირველები?

–მე! – შესძახა ბიოლოგმა იულმა, რომელიც მოუთმენლობისაგან თავის რვავე თათზე ხტოდა.

–მე! – ულვაშები ააცმაცუნა ფსიქოლოგმა ტორმა და ფეხი წინ წადგა.

კაპიტანმა დაკვირვებით შეათვალიერა მოხალისეები:

–ყოველი შემთხვევისათვის ავტოპოლიგლოტები და მეტყველების გარდამქმნელები წაიღეთ თან. აბა, შეუდექით დავალების შესრულებას!

მზვერავები გასასვლელი ლიუკისკენ გავარდნენ.

„ყორაღი ბიჭები მყავს", – გაიფიქრა გულაჩუყებულმა ინგმა.

ტყეში ნაძვი დაიბადა...

ნაძვი ტანწერწეტი და ფაფუკი იყო, სულ მწვანედ ხასხასებდა, ერთი ყვითელი წიწვიც კი არ ერია. როგორ შვენოდა იქაურობას თოვლის ფიფქების პირბადეაფარებული ეს მწვანე მზეთუნახავი! გეგონებოდთ, ვარსკვლავებიც კი ტკბებოდნენ მისი სიტურფით მაღლა ციდან, ციმციმებდნენ და თვალს უკრავდნენ ნაძვს: იზარდე და ყველა გაახარეო! სიოც კი ერიდებოდა მის შეტოკებას და ირგვლივ ცივ ჰაერში წიწვების ნაზი სურნელი ტრიალებდა.

ტყეში მოსული მიტროფანოვი ვერაფერს ამას ვერ ამჩნევდა. ერთი კი ჩაიბურტყუნა, შეხედე ერთი, რა ტანწერწეტაა, ცამდე არ აზიდულაო და ნაძვის ირგვლივ თოვლის შემოტკეპნას შეუდგა. ერთი გემრიელად დაინერწყვა ხელებზე, ცული მოიმარჯვა და ნაძვს მოუქნია, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ. ნაძვი თოვლში წაიქ...

–რატომ ჩაიდინ[illegible] ეს? – მოესმა ანაზდად მიტროფანოვს. შებრუნდა და გაოგნებულს ცული ხელიდან გაუვარდა. მის წინაშე ობობა იდგა, დაახლოებით მეტრნახევარი სიმაღლის იქნებოდა, ბუსუსებიან თათებზე ირწეოდა და სევდიანი ადამიანური თვალებით იყურებოდა.

მიტროფანოვი გაშრა.

–რას გაჩუმებულხარ? შენ გეკითხებიან! – მკაცრად განაგრძობდა ობობა.

–ररრა ვიცი... ახალი წელია და! – ამოილუღლუღა მიტროფანოვმა. – ბევრი იქცევა



ასე, ე.ი. მე მინდოდა მეთქვა, ბევრი ჭრის, ხოლო ვისაც არ უნდა, ბაზარში მიდის და იქ ყიდულობს ნაძვის ხეს. მათთვის ორგანიზაციები ჭრიან.

–რისთვის ჭრიან? – არ ეშვებოდა ობობა.

მიტროფანოვი მიხვდა, რომ ეს ვიღაც მილიციელი არ იყო და ძალა მიეცა, გათამამდა.

–შენ რა, მთვარიდან ჩამოვარდი? ასეთი ისტორიული ჩვეულებაა, ყოველ ოჯახში ნაძვის ხე უნდა იყოს, პერსონალური.

–რისთვის? – არ ცხრებოდა ობობა.

–რა გული გამიწყალე! – გაბრაზდა მიტროფანოვი, – იმისთვის, რომ მორთონ ის!

–რითი?

–რა ვიცი, სათამაშოებით, ბრჭყვიალა ბურთებით, ფერად-ფერადი ქაღალდებით, ხალხმა რომ იმხიარულოს.

–მომაკვდავი ხის გარშემო რომ იმხიარულოს?

–ხეა, ადამიანი ხომ არა?! – შეუღრინა მიტროფანოვმა და უნებლიედ მოიბუზა: ობობა ზიზღით მისჩერებოდა და თვალს არ აშორებდა.

–თქვენს ქალაქებში ბევრი ხალხი ცხოვრობს? – ჰკითხა ობობამ.

–გაჩნია, დიდ ქალაქებში მილიონობით ადამიანი ცხოვრობს.

–მაინც რამდენ ხანს უდგათ ადამიანებს სახლში ნაძვის ხე?

–ხუთი-ექვსი დღე.

–მერე?

–მერე აგდებენ. აღარაფრის მაქნისია და იმიტომ, მარტო წიწვები სცვივა და იქაურობას ანაგვიანებს.

ობობას თვალები ავად აუელვარდა.

–თქვენ რომ ნაძვი მოკალით, რამდენი ხანი იზრდებოდა?

მიტროფანოვმა მის ფეხებთან წაქცეულ ნაძვს დახედა:

–ალბათ, ათი წელი. მერე რა?

თავი ასწია, არანაირი ობობა არ [illegible]

„ეს რა იყო, რა ჯანდაბა მომეჩვენა?!" – გაიფიქრა მიტროფანოვმა და ნაძვი მხარზე გაიდო.

როდესაც მზვერავები ხომალდზე დაბრუნდნენ, მეთაურმა მოითხოვა:

–მომახსენეთ, რა შეიტყვეთ?

–დედამიწაზე არსებობენ გონიერი არსებები, – დაიწყო ბიოლოგმა, – ხოლო რამდენად გონიერები არიან ისინი, ეს თავად გასაჯეთ. ადამიანები – ასე ჰქვიათ ამ არსებებს – ჭრიან სიცოცხლით სავსე „ნაძვებს", მერე ზედ ბრჭყვიალა ბურთებსა და ქაღალდებს ჰკიდებენ. მერე კი, სავსებით დარწმუნებულები იმაში, რომ ხეები „მორთულია", ხუთიოდე დღე ტკბებიან იმით, თუ როგორ ნელ-ნელა ხმებიან ისინი, მერე კი ნაგავსაყრელზე ყრიან.

–ამგვარ საქციელს ადამიანები რაღაც ისტორიული ჩვეულებით ამართლებენ! – განაგრძო ბრაზისაგან გალურჯებულმა იულმა – განადგურების საფრთხე ემუქრება მცენარის მთელ სახეობას! ძნელი გასაგებია, როგორ შეიძლება მშვიდად, გულგრილად მოჭრა ასე ლამაზი ხე.

და იულმა დაწვრილებით უამბო მეთაურს და ეკიპაჟის დანარჩენ წევრებს თავისი შეხვედრის შესახებ.

–შენი დასკვნა! – ჰკითხა მეთაურმა, როცა იულმა თხრობა დაამთავრა.

–დასკვნა ისედაც გასაგებია. კაცობრიობა ჯერ ჩვენს დონემდე არ გაზრდილა.

–ნაკლები ემოციები, – მოიღუშა ინგი. – ვინ იცის, იქნებ ის, ვინც თქვენ შეგხვდათ, იშვიათი ფსიქიკური ფენომენია? არ შეიძლება ერთი ადამიანით ვიმსჯელოთ ყველა დანარჩენზე. ადამიანებს ჯერ არ ესმით, რომ ყოველი ნაძვის ხე, თუნდაც სულ პატარა, ჟანგბადის წყაროა, მაგრამ გული არ უნდა გავიტეხოთ, ჩვენ კიდევ დავბრუნდებით აქ! და თუ მაშინ თითოეულ ადამიანს ყოველი ნაძვის მხოლოდ და მხოლოდ გასართობად მოჭრა ისეთივე ანტიჰუმანურ საქციელად მო-



ეჩვენება, როგორც ახლა თითოეულ ჩვენგანს, ჩვენ ხმამაღლა ვეტყვით მათ: „გამარჯობათ, ადამიანებო! მოდით გავაერთიანოთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება!" ახლა კი კურსი შინისაკენ!

რუსულიდან თარგმნა
კესო გოდერძიშვილმა

ცხელი
იუმორის საქმე ჩობოჩა ბაქვთ?

იმის დასადგენად, გაგაჩნია თუ არა იუმორის გრძნობა, უპასუხე შემოთავაზებული ტესტის თერთმეტ კითხვას. დასაშვებია მხოლოდ ორგვარი პასუხი – „დიახ" ან „არა".

1. გიყვარს თუ არა წვნიან კერძში წიწაკის ჩაყრა, კატლეტის მდოგვში ან ტყემალში ჩაწობა?

2. როცა შენს კომპანიაში ხარ, გიჩნდება ხოლმე ისეთი აზრი, რომ ეს სულელების თავყრილობაა?

3. სიხარულისაგან ჭერამდე თუ შემხტარხარ?

4. შეგიძლია თუ არა ისე იმასხარაო, რომ მეგობრებს მოეწონო?

5. ხშირად გისკდება ხოლმე ტკივილისაგან თავი?

6. ზოგჯერ მაინც თუ გავიწყდება ხოლმე კბილების გახეხვა?

7. ყოველთვის ერთნაირი ვარცხნილობა გაქვს?

8. კროსვორდის შევსება თუ გიყვარს?

9. ვარჯიშობ თუ არა დილაობით?

10. ხშირად ხარ ხოლმე მოწყენილი?

11. გიყვარს სიჩუმეში მარტო ყოფნა?

მაშ ასე: შენ ყველა კითხვას გაეცი პასუხი, ახლა ამ ცხრილის მიხედვით დაადგინე, რამდენი ქულა უნდა მიეწეროს თითოეულ მათგანს.

კითხვების №1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11; ქულების რაოდენობა 3, 1, 4, 3, 1, 4, 3, 1, 3, 1, 4; თუ პასუხია „დიახ".

ქულების რაოდენობა 2, 2, 2, 2, 2, 1, 1, 4, 1, 4, 1. თუ პასუხია „არა".

ახლა ქულების საერთო ჯამი გამოთვალე.

თუ 20 ქულაზე ნაკლები დაგიგროვდა, ეს იმას ნიშნავს, რომ იუმორის გრძნობას ... მოსაწყენ ადამიანად გთვლიან. თუმცა შეიძლება, შენ უბრალოდ, ადვილად საურთიერთობო არა ხარ, სამაგიეროდ, ჭკუა არ გაკლია. დროდადრო სურვილი გიჩნდება მახვილსიტყვაობა გამოიჩინო და თუ გახუმრებას გადაწყვეტ, გაქვავებული სახით გაიკეთე ეს. მაშინ წარმატება უზრუნველყოფილი გექნება.

თუ 21-25 ქულა დააგროვე, საკმაოდ მცინარა ადამიანი ყოფილხარ და ალბათ გაკვეთილზე თითის დანახვებაზეც კი სიცილი გიტყდება. ნებისმიერი წვრილმანის გამო გეცვლება განწყობილება, თუმცა შეგიძლია ეს თვისება შენ სასარგებლოდ გამოიყენო. როცა რამე სასაცილოს ყვები ან უსმენ, პირველმა დაიწყე ხარხარი, მაგრამ სცადე შეწყვეტითაც პირველმა შენ შეწყვიტო სიცილი და უეცრად მიიღო სერიოზული გამომეტყველება. სცადე და ნახავ, რომ ხუმრობის ეფექტი გაორკეცდება.

თუ 25-ზე მეტი ქულა დააგროვე, ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიის სული და გული ყოფილხარ, ანეკდოტები და სასაცილო ამბები არ გელევა, შენი ხუმრობები ყოველთვის მოსწონთ, მაგრამ მეტისმეტი არ მოგივიდეს, თავს ნუ შეაწყენ შენი ანგლობით, სხვებსაც დააცადე.

12 ფაქტი ხომალდ „ტიტანიკის" შესახებ

გემ „ტიტანიკის" დაღუპვის ამბავი ბევრმა თქვენგანმა ჯონლოდ ჯეიმს კამერონის ამავე სახელწოდების ფილმით გაიგო, რომელშიც ერთ-ერთ მთავარ როლს ლეონარდო დი კაპრიო თამაშობს. ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ ფილმში აღწერილ ტრაგედიასთან დაკავშირებული ზოგიერთი საგულისხმო ფაქტი, რომლებზეც დღეს გიამბობთ.

* * *

ჩასაძირად განწირულ „ტიტანიკზე" ისტორიაში პირველად იქნა გამოყენებული უბედურების სიგნალი „SOS". მოვლენათა საბედისწერო დამთხვევით, ახალმა სიგნალმა ვერაფრით უშველა ლაინერის მგზავრებს.

* * *

კატასტროფის მომენტში ლაინერზე 2300მგზავრი და ეკიპაჟის წევრი იმყოფებოდა. ამასთან, მის ბორტზე სულ 1200 ადგილისათვის გათვალისწინებული 16 სამაშველო ნავი იყო, თუმცა თავდაპირველი პროექტით ისინი 48 უნდა ყოფილიყო. საქმე იმაშია, რომ 1894 წ. მიღებული დებულების თანახმად, სამაშველო ნავების რაოდენობას გემის წყალწყვიდან გამომდინარე საზღვრავდნენ. ამასთან ზედა ზღვარად „10 და მეტი ათასი ტონა" ითვლებოდა. „ტიტანიკის" წყალწყვა კი 46 ათას ტონას შეადგენდა. მხოლოდ, ამ სუპერლაინერის დაღუპვის შემდეგ იწყეს ნავების რაოდენობის გემზე მგზავრთა მაქსიმალური რაოდენობის მიხედვით განსაზღვრა.

* * *

„ტიტანიკის" დაღუპული მგზავრების რიცხვში იყო იმ დროისათვის ცნობილი ჟურნალისტი იულიამ სტედი, რომელმაც 1892 წელს დაწერა მოთხრობა იმის შესახებ, თუ როგორ დაიღუპა ჩრდილოეთის წყლებში უზარმაზარი ლაინერი. 1898 წელს კი კიდევ ერთმა „ნათელმხილველმა", მორგან რობერტსონმა გამოუშვა რომანი ხომალდ „ტიტანიკის" აისბერგთან შეჯახების შედეგად დაღუპვის შესახებ. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, სტედმა არა მარტო უსაშინლესი საზღვაო კატასტროფა იწინასწარმეტყველა, არამედ საკუთარი ბედიც.

არსებობს „ტიტანიკის" დაღუპვის „ნამდვილი" მიზეზების რამდენიმე ვერსია – ერთ-ერთი მათგანის თანახმად, კატასტროფა უზარმაზარი დაზღვევის მიღების მიზნით სპეციალურად მოაწყო კომპანია „White Star Line"-ის ხელმძღვანელობამ. კიდევ ერთი ვერსიით, გემის დაღუპვა მასზე უცხოპლანეტელთა თავდასხმას მოყვა.

* * *

ზოგიერთი ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული სასწაულებრივ გადაურჩა დაღუპვას. მათ შორის მილიარდერები ჯორჯ ვანდერბილდი და ჰენრი კლეი ფრიკი, აგრეთვე კომპანია „White Star Line"-ის პატრონი ჯ.პ. მორგანი. მათ უკვე დაჯავშნული ჰქონდათ ბილეთები, მაგრამ ბოლო მომენტში უარი თქვეს მოგზაურობაზე. „ტიტანიკის" მთავარი კონსტრუქტორი ტომას ენდრიუსი კი მსხვერპლთა შორის აღმოჩნდა. კაპიტან სმიტისათვის „ტიტანიკის" პირველი რეისი მისი კარიერის დამაგვირგვინებელი უნდა გამხდარიყო – ლაინერის „დებიუტის" შემდეგ იგი პენსიაზე აპირებდა გასვლას. რას წარმოიდგენდა ღვაწლმოსილი კაპიტანი, თუ ეს რეისი სულ სხვა მიზეზით გახდებოდა მისთვის უკანასკნელი.

* * *

სტატისტიკით „ტიტანიკის" სამ მგზავრზე ეკიპაჟის ორ-ორი წევრი მოდიოდა. ისიც ცნობილია, რომ სხვა სურსათ-სანოვაგესთან ერთად გემზე მომარაგებული იყო 40 ათასი კვერცხი, ერთ ტონაზე მეტი ძეხვი და სამი ტონა კარაქი.

* * *

„ტიტანიკის" გადარჩენილ მგზავრებს კარგად დაამახსოვრდათ პირველი კლასის კაიუტის მგზავრი, ვინმე ლედი ს. დაფ გორდონი, რომელიც სამაშველო ნავში რომ ჩაჯდა, ძალიან დიდხანს მოსთქვამდა და მისტიროდა თავის ღამის პერანგს, რომელიც გემთან ერთად ჩაიძირა. კიდევ ერთმა დიდგვაროვანმა მგზავრმა ქალმა – შარლოტა კარდეზამ კი თავისი დაკარგული ბარგისათვის კომპანიას 177 352 დოლარი მოსთხოვა.

* * *

„ტიტანიკის" პირველი მსხვერპლი – მის ზღვაში გასვლამდე ბევრად ადრე – გემთმშენებელი მუშა გახდა, რომელიც გემხარიხიდან ჩამოვარდა.

აისბერგის მიერ „ტიტანიკში" შენგრეული ხვრელების საერთო ფართი ერთ კვადრატულ მეტრზე ოდნავ მეტს შეადგენდა. ეს კი ჩვენი ჟურნალის ორი გვერდის ფართობზე ნაკლებია.

* * *

„ტიტანიკის" გადარჩენილ მგზავრებს შორის იყო სტიუარდი ქალი, ირლანდიელი ვიოლეტ ჯექსონი. გარდა ამისა, ეს იღბლიანი ქალბატონი, კიდევ ერთი ფსკერისაკენ წასული გემის „ბრიტანიკის" კატასტროფის დროსაც გადარჩა და გემ „ოლიმპიკის" დროსაც უვნებელი დარჩა.

* * *

თუ სატელევიზიო ვერსიებს არ ჩავთვლით, კამერონის ფილმი „ტიტანიკი" ამ ტრაგედიის შესახებ გადაღებული რიგით მერვე ფილმია.

პირველი 10 წუთიანი მუნჯი ფილმი იყო, რომელიც კატასტროფიდან ერთი თვის შემდეგ გამოვიდა. მთავარ როლს მასში ასრულებდა მსახიობი ქალი, რომელმაც უშუალოდ განიცადა იმღამინდელი საშინელება.

* * *

ბოლო დრომდე ჰარვარდის ყოველი კურსდამთავრებული ვალდებული იყო უნივერსიტეტის აუზში ჩაებარებინა ტესტი ცურვაში. როგორც ამბობენ, თავის დროზე ეს პირობა ელეონორ უიდენერეს წამოუყენებია, რომელსაც ჰარვარდის მემორიალური ბიბლიოთეკის ასაშენებლად 3,5 მილიონი დოლარი შეუწირავს. ქალბატონ უიდენერის ახირება გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მის ვაჟიშვილი ჰარი ელკინს უიდენერი, ჰარვარდის კურსდამთავრებული, „ტიტანიკის" ერთ-ერთი მსხვერპლი გამხდარა. სხვათა შორის, გადმოცემის თანახმად, მისი დაღუპვის ირიბი მიზეზი, ფილოსოფოსი ფრენსის ბეკონი ყოფილა. უფრო სწორედ მისი „ესეების" 1598 წლის გამოცემა, რომელიც ჰარის „ტიტანიკით" მოგზაურობამდე ოდნავ ადრე უყიდია. ჭაბუკი უკვე სამაშველო ნავში მჯდარა, როცა ბოლო წუთს ამომხტარა და კაიუტისკენ გაქცეულა, სადაც ძვირფასი წიგნი დარჩენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაბადული

მუსიკა ოთარ დისამიძისა

ლექსი გიორგი კაჭახიძისა



დღეს ახალი წელი ჩადგა
მზე უცინის თვალში,
გაიცინა ნაძვის ხემაც,
აბა ტაში, ტაში!

მისამღერი:
დავუაროთ, შემოვძახოთ
სიმღერები ერთად,
თოვლისფერი თოვლის ბაბაც
აგერ მღერის ჩვენთან.

ბედნიერი იყოს ჩვენთვის
ეს ახალი წელი,
გაგვიმრავლდეს მეგობრები,
არ გვენახოს ცრემლი.

მისამღერი:
დავუაროთ, შემოვძახოთ
სიმღერები ერთად,
თოვლისფერი თოვლის ბაბაც
აგერ მღერის ჩვენთან.
გაგვიმრავლდეს ბედნიერები,
არ ვიცოდეთ დაღლა,
და სამშობლოს გასახარად
გვქონდეს წინ და მაღლა.

მისამღერი:
დავუაროთ, შემოვძახოთ
სიმღერები ერთად,
თოვლისფერი თოვლის ბაბაც
აგერ მღერის ჩვენთან.

რატომ გამელოტდა მარტორქა

მთელ სხეულზე აქა-იქ მიმობნეული თითო ბლუჯა ბეწვი – აი მარტორქის მთელი „სამოსელი". ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში კი მარტორქის წინაპარი გრძელი, ხშირი ბეწვით იყო დაფარული. „რატომ გამელოტდა მარტორქა?" – დაინტერესდა ინგლისელი ზოოლოგი კ. დეივი. როცა მარტორქის ტყავის გარეთა თხელი ფენა გულმოდგინედ შეისწავლა, პროფესორმა გაოცებით შენიშნა, რომ ამ ცხოველს ბეწვი სრულებითაც არ გასცვენია, მხოლოდ დამოკლებია ძირამდე. მარტორქის ტყავი ისე სქელია, რომ პროფესორ დეივის აზრით „ქურქში" მარტორქა ვერ გაუძლებდა ტროპიკულ სიცხეს. მარტორქასაც ურჩევნია დედიშობილამ იაროს, ვიდრე თაკარა სიცხეში სული ეხუთებოდეს.

გოგენს მიაწერენ...

ერთი ფრანგი ექსპერტის ანგარიშით, ამერიკელ კოლექციონერებს პოლ გოგენის ორიათასზე მეტი ნახატი აქვთ. სინამდვილეში კი ცნობილია, რომ ამ დიდებულმა მხატვარმა თავის სიცოცხლეში სულ 700 სურათი შექმნა.

მომღერალი თევზი

კუნძულ ცეილონის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი რამ ე.წ. „მომღერალი თევზი" გახლავთ. იგი ღრმა ტბებში ბინადრობს, მთვარიან ღამეში წყლის ზედაპირზე ამოცურდება ხოლმე და მელოდიურ ბგერებს გამოსცემს.

პირველად პირით ორკესტრისაკენ

1863 წელს რიჰარდ ვაგნერი (1813-1883) მოსკოვს ეწვია, სადაც დიდი თეატრის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად გამოვიდა. მსმენელები განაცვიფრა იმ ამბავმა, რომ მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული გერმანელი კომპოზიტორი ორკესტრისაკენ პირით იდგა და ისე დირიჟორობდა. მანამდე მოსკოვში ყველა დირიჟორი მსმენელთა დარბაზისაკენ პირშექცეული დირიჟორობდა.

ძველ ინდიელთა მუმიები

სამეცნიერო ექსპედიციამ, სან-ხუანის უნივერსიტეტის (არგენტინა) პროფესორების პაბლო საჯეროსა და მარიანო გამბიეროს ხელმძღვანელობით, ერთ-ერთი მთის გამოქვაბულში სამარხები აღმოაჩინა. სამარხებში ძველ

ინდიელთა მშვენივრად შენახული თერთმეტი მუმია აღმოჩნდა. მუმიებს რომელიღაც უცნობი ხსნარით გაჟღენთილი დოლბანდი ჰქონდა რამდენიმე ფენად შემოხვეული. ერთი მუმია კი ლამას გადმობრუნებულ ტყავში იყო შენახული. თავზე მუმიებს დაწნული ბალახის, კალათისმაგვარი ქუდები ეხურათ. მუმიების გვერდით აღმოაჩინეს აგრეთვე მზის, მთვარისა და ვენერას სიმბოლური გამოსახულებანი.

მეცნიერთა აზრით, ნაპოვნი მუმიები ორჯერ მეტი ხნისაა, ვიდრე ეგვიპტელი ფარაონების მუმიები.

ტარზანი ნაკრძალში

უცნაური ამბავი ხდებოდა სამხრეთ აფრიკის ნაკრძალში – კრიუგერ პარკში: ერთ-ერთი სასტუმროს მახლობლად მანქანების სადგომთან დატოვებული მცირელიტრაჟიანი მანქანები რაღაც ძალას ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰქონდა, ზოგიერთი გადაბრუნებულიც კი ხვდებოდათ. სასტუმროს კლიენტები – მანქანების პატრონები განრისხებული იმუქრებოდნენ: „ამ ამბავს ასე არ დავტოვებთო".

პარკის დირექცია შეუდგა დამნაშავის ძებნას და ერთი კვირის შემდეგ კიდეც აღმოაჩინა იგი. დამნაშავე აღმოჩნდა ტარზანი – გიგანტური კუ. ნაკრძალის ძველი მობინადრე. ჩრდილის ძებნის დროს ტარზანი მანქანის ქვეშ შეძვრებოდა ხოლმე, ხოლო, როცა მზე გადაიხრებოდა და ჩრდილიც გადაინაცვლებდა, კუ ადგილს იცვლიდა – ჩრდილს მიჰყვებოდა და ... თან ზურგით მიათრევდა მანქანას.

„დამნაშავის" პარკის იმ ნაწილში გადასახლება „მიესაჯა", სადაც მანქანების შესვლა აკრძალულია.

სახელს არ არქმევენ

ჩრდილოეთ ბირმის მთიელთა ტომ კაჩინებში ყველას სხვადასხვა სახელი ჰქვია, თუმცა, ტყუპები რომ იბადებიან, ორივეს ერთსა და იმავე სახელს არქმევენ. საქმე ის არის, რომ კაჩინების რწმენით, ტყუპები – ერთი ადამიანია, რომელსაც ორი სახე აქვს. როცა ტყუპები ცხრა წლისანი ხდებიან, მათ გამოცდას უტარებენ: ბავშვები სამ-სამჯერ ჩაყოფენ ბრინჯიან დოქში ხელს, ერთი ბრინჯის მარცვალი წითლად არის შეღებილი, რომლის ხელსაც ის მარცვალი ამოჰყვება, მას ნამდვილ ადამიანად თვლიან და სახელსაც მას არქმევენ.

მეორე ბავშვი უსახელოდ რჩება. მას ამიერიდან „მეორეს" დაუძახებენ.

მელა მარტო ქურდი როდია

მელა ავაზაკად და ქურდად არის მონათლული. მაგრამ, სინამდვილეში, მთლად ასე როდია, მელა სასარგებლო ცხოველიც გახლავთ.

ცნობილია, რომ თაგვები ტყის ძველისძველი მტრები არიან: მიწაზე დაცვივნულ თესლს ანადგურებენ, ხის კანს ღრღნიან, ჭამენ ნორჩ მცენარეთა ფესვებს. მელას საოცრად მახვილი სმენა აქვს: თაგვის წრიპინს შორიდანვე გაარჩევს ხოლმე და სწრაფად უსწორებს ანგარიშს ამ მავნებელს.

მელა ზაფხულში ხის მატლებსაც მირთმევს. ასე რომ, იგი მუდამ დგას ტყის სადარაჯოზე.



გამოჩენილი ადამიანების ღიმილი

ბედნიერება

ერთხელ ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი იოჰანეს ბრამსი აკომპანიატორობას უწევდა ერთ მდარე ვიოლონჩელისტს. ბრამსი ისე ხმამაღლა უკრავდა, რომ თავისი პარტნიორის ხმას ფარავდა. საბრალო ვიოლონჩელისტმა თავი ვეღარ შეიკავა და შეევედრა:

–გთხოვთ, ცოტა დაბალ ხმაზე დაუკრათ, თორემ საკუთარი საკრავის ხმა სულ არ მესმის...

–ბედნიერო! – გამოსცრა კბილებში ბრამსმა.

გასამრჯელო

ვენის საუკეთესო ექიმის ნოთნაგელის ქება-დიდებამ ქრონიკულად დაავადებული ერთი ვაჭრის ყურამდეც მიაღწია და იგი მასთან სამკურნალოდ მივიდა.

ვაჭარი, ცოტა არ იყოს, ხელმოჭერილი კაცი გახლდათ და წინასწარ გამოიკითხა, ექიმი გასამრჯელოს რამდენს იღებდა. რომ გაიგო, პირველ გასინჯვაში 25 ოქროს იღებს, ხოლო ყოველი შემდეგი გასინჯვისას 10 ოქროსო, ეძვირა და დაიწყო ფიქრი, როგორ მიეღწია მიზნისათვის უფრო იაფად. მოიფიქრა კიდეც და მეორე დღეს, საკუთარ თავში დარწმუნებულმა, ექიმისაკენ გასწია.

როცა რიგმა მოაღწია და მის წინ ექიმის სამუშაო ოთახის კარი გაიღო, ვაჭარი ღიმილით გაემართა ნოთნაგელისაკენ, ძველი ნაცნობივით ხელი დაუქნია და მხიარულად შესძახა:

–მაქვს პატივი, კვლავ გეახლოთ, ბატონო პროფესორო!

ნოთნაგელი ერთი წუთით დაბნეულად მიაჩერდა მისულს, მაგრამ თავისი შესანიშნავი მეხსიერების წყალობით მალე მიხვდა, რომ ეს მისი ძველი პაციენტი არ იყო და ეშმაკობდა. ექიმმა არაფერი აგრძნობინა ვაჭარს და გულდასმით გასინჯა.

–თქვენი სნეულება ისევ უცვლელ მდგომარეობაშია. ჯერ ისევ უნდა იხმაროთ ის წამლები, რომლებიც უკანასკნელად გამოგიწერეთ, – უთხრა ექიმმა, ჯიბეში ათი ოქრო ჩაიდო და ნირწამხდარი პაციენტი გარეთ გაისტუმრა.

სასურველი ფინალი

ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი და მევიოლინე ლუდვიგ შპორი თავისი ახალი ორატორიის რეპეტიციებზე რვა წლის ქალიშვილთან ერთად დადიოდა. გოგონა ყოველთვის უხალისოდ უსმენდა ორატორიას, მაგრამ ფინალური ფუგა რომ აჟღერდებოდა, საგრძნობლად გამოცოცხლდებოდა ხოლმე.

–მოგწონს ჩემი ფუგა? – ჰკითხა მამამ შვილს.

–არა, მამიკო, – მიუგო გოგონამ, – მაგრამ როცა მუსიკოსები ამ ფუგას იწყებენ, ვიცი, რომ ნაწარმოები უკვე მთავრდება, მალე შინ დავბრუნდებით და ვისადილებთ.

საომარი ხრიკი

იოჰანეს ბრამსი დილეტანტებს ვერ იტანდა, ისინი კი მოსვენებას არ აძლევდნენ, ჩვენი ნაწარმოები მოისმინეთო. კომპოზიტორი ყოველთვის ცდილობდა, ამგვარი შეხვედრები თავიდან აეცილებინა.

ერთხელ ბრამსი შინიდან გამოდიოდა. გზად ვიღაც ახალგაზრდას შეეჩეხა, ჭაბუკი იღლიაში ამოჩრილი ნოტების დასტით კიბეზე ამოდიოდა. იგი ბრამსს ვერ სცნობდა და ჰკითხა, ხომ ვერ მეტყვით, ბრამსი სად ცხოვრობსო.

–მესამე სართულზე, – მიუგო კომპოზიტორმა და მშვიდად განაგრძო გზა.

ორი მფლობელი

ბეთჰოვენის უმცროსი ძმა იოჰანი მეაფთიაქე იყო და სარფიანი ვაჭრობის წყალობით სწრაფად გამდიდრდა, შეიძინა ჩინებული ადგილ-მამული და მას შემდეგ ხელს ასე აწერდა ხოლმე: „იოჰან ბეთჰოვენი, ადგილ-მამულის პატრონი".

ერთხელ მან ძმას საახალწლო მილოცვა გაუგზავნა და იქაც ასე მოაწერა ხელი.

დიდმა კომპოზიტორმა დეპეშა რომ წაიკითხა, სამაგიერო მილოცვა გაგზავნა და ხელი მოაწერა: „ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი, ტვინის პატრონი!"

ამაო შიში

ერთხელ ცნობილ იტალიელ კომპოზიტორ ჯოაკინო როსინისთან მიწვეული სტუმრები სადილის შემდეგ ღვინის ჭიქებით ხელში აივანზე რომ ჩამოსხდნენ, სამზარეულოში წარმოუდგენელმა ხმაურმა იფეთქა. გაისმა წკარუნი, ჩხარუნი, ტკაცანი, ჭახანი და, ბოლოს, კვნესა და ოხვრა. სტუმრებს გაოცებისაგან ენა დაებათ. როსინიმ სამზარეულოში შეირბინა და მაშინვე ღიმილით დაბრუნდა:

–მადლობა ღმერთს, რომ ეს მხოლოდ მოახლის ოინია, სუფრას გამოსდებია და მთელი ჭურჭელი დაბლა გადმოუყრია. მე კი მეგონა, ვიღაცამ ჩემს სახლში „ტანგეიზერის" უვერტიურის დაკვრა გაბედა-მეთქი.

როსინი ვერ იტანდა რიჰარდ ვაგნერის მუსიკას.

ჩინებული დუეტი

1821 წელს რომის კარნავალზე ხალხის ყურადღება მიიპყრო მოხეტიალე მუსიკოსთა ჯგუფმა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა კომიკური წყვილი – უჩვეულოდ სქელი მამაკაცი და გამხდარი ქალი. ისინი ვირტუოზულად უკრავდნენ გიტარებზე, მათი თანამგზავრები კი მხიარულად მღეროდნენ:

ბრმები ვართ დასაბამიდან,
თან მუდამ ტანჯვა გვდევს,
გთხოვთ მოწყალება გაიღოთ
ამ საზეიმო დღეს.

მაშინ ვერავინ იცნო ჯოაკინო როსინი, ისედაც სრული ტანი ბალიშებით კიდევ უფრო გაესქელებინა, ხოლო ნიკოლო პაგანინის ქალის ტანსაცმელი ჩაეცვა.

მათი მეგობრები კი იმ სიმღერას ასრულებდნენ, რომელიც როსინიმ საგანგებოდ კარნავალისთვის შექმნა.

ხიტილის გაკვეთილი

* * *

მათემატიკის მასწავლებელი მიმართავს კლასს:

–ახლა კი მე პითაგორას თეორემას დაგიმტკიცებთ.

–არ გვინდა, რა მასწ! ისედაც გვჯერა თქვენი.

* * *

ზოოპარკში:

–ზაზა, ახლავე მოსცილდი ლომის გალიას!

–ნუ გეშინია, დედიკო, მე ლომს არაფერს დავუშავებ.

* * *

უფროსკლასელი ნოლჯგუფელს ეკითხება:

–რატომ ხარ სველი?

–მე და აჩიკო დასვენებაზე ძალლობანას ვთამაშობდით.

–მერე რა?

–მე ხე ვიყავი.

* * *

„ახალი რუსების" შვილები თავს იწონებენ:

–გეოგრაფიაში მიღებული ხუთიანისათვის მამაჩემმა კანარის კუნძულებზე ვილა მაჩუქა.

–დიდი ამბავი, ჩემებმა იმდენი გადაიხადეს, რომ ნაწერი ნობელის პრემიაზეა წარდგენილი!

* * *

–რა არის, რა საშინლად იცვამს თანამედროვე ახალგაზრდობა! აი, თუნდაც ეს ბიჭი.

–ეს ჩემი ქალიშვილი გახლავთ.

–მაპატიე, არ ვიცოდი, თუ თქვენ მისი მამა იყავით.

–მე მისი მამა კი არა, დედა ვარ!

* * *

დილით პიერი სკოლაში წასასვლელად ემზადება. წიგნები გაყრილი აქვს, ჩანთა ჩასალაგებელი. ყველაფერი ეზარება, ბუზღუნებს:

–დედა, იცოდე, იმ სკოლაში აღარ წავალ. იქ ბოროტი მასწავლებლები არიან, ბავშვები სულ ჩხუბობენ.

–რას იზამ, შვილო, მაინც უნდა იარო სკოლაში, ისე, როგორ იქნება.

ნუ ბუზღუნებ, ჩანთა ჩაალაგე და წადი.

–არა, არ შემიძლია, არ მინდა!

–პიერ, უნდა წახვიდე! ჯერ ერთი, ექვსი წლის აღარა ხარ, მეორეც, რაც არ უნდა იყოს სკოლის დირექტორი ხარ!

* * *

მასწავლებელმა ვოვა სიგარეტის წევისას „ჩაავლო" და მეორე დღისათვის მამა დაიბარა:

–ბატონო ჩემო, იცით, თქვენი ბიჭი სკოლაში „ასტრას" ეწეოდა.

მამა აღშფოთდა:

–რა ჯანდაბად გინდა ეს „ასტრა?" ჩემი ხელით არ ჩაგიდე „მალბორო" ჩანთაში?!

* * *

ოტო ატირებული ბრუნდება სკოლიდან:

–დედა, ერთმა უფროსკლასელმა მცემა.

–მოდი, მოგეფერო, შვილო! თავხედი, როგორ გაბედა! რამე რომ იყოს, იცნობ?

–ახლა იმას ყველა იცნობს, მისი ცალი ყური აქა მაქვს, ჯიბეში.

* * *

ვასია ინტერნატში მიაბარეს.

გამოხდა ხანი და მშობლებმა სანახავად მიაკითხეს. პირველ სართულზე წარწერაა: „კარგი ბავშვები". მშობლები ეკითხებიან აღმზრდელს:

–ჩვენი ვასია აქ არის?

–არა, ზედა სართულზე.

ადიან მეორე სართულზე. კარზე აწერია: „ცუდი ბავშვები".

–ალბათ აქ არის?

–არა, უფრო ზემოთ.

მესამე სართულზე წარწერაა: „ძალიან ცუდი ბავშვები".

დარწმუნებული მშობლები მიმართავენ აღმზრდელს:

–ნამდვილად აქ იქნება ჩვენი შვილი.

–არა, უფრო ზემოთ. – ადიან მეოთხე სართულზე.

იქ წარწერაა: „ვასია".

იწილდ-მიწილდ



კროსვორდი

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. სახელმწიფოში შესვლის, იქიდან გამგზავრების ან მის ტერიტორიაზე გავლის ნებართვა. 2. მტაცებელი ფრინველი. 3. ლითონის ცეცხლგამძლე კარადა. 4. ირანული ფულის ერთეული. 5. ა.შ.შ-ს პარლამენტის ზედა პალატა. 6. მოძრაობათა, ბგერათა თანაბარზომიერი პერიოდული მონაცვლეობა. 7. კანფეტი. 8. თეატრში მაყურებლისათვის განკუთვნილი სართული. 11. რკინიგზის პატარა ვაგონი, რომელიც მოძრაობს შიგაწვის ძრავით ან ხელით. 14. ცხენოსანი ჯარი. 15. ნიანგის სახეობა. 16. შესრულებული საქმე. მოვალეობა. 18. სამყარო, როგორც მთლიანობა. 19. რომელიმე ორგანოს დასუსტება ხანგრძლივი უმოქმედობის გამო. 29. უაზრობა, შეუსაბამობა. 33. ქალის სახელი. 34. სიგრძის საზომი ერთეული. 36. ჯილდო რაიმე შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. 37. აზოტმჟავა ვერცხლი, უფერო კრისტალური ფხვნილი. 38. ლიტერატურასა და ხელოვნებაში: სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი ხერხი. 39. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე. 42. რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი გერმანულში. 43. პირი რაიმე საბუთისა, სურათისა.

ᲐᲠᲐᲐᲮᲜᲣᲚᲐᲓ: 5. ალკოჰოლით მდიდარი, ადვილად აალებადი სითხე. 6. წყარო, საიდანაც იძენენ ახალ-ახალ ძალებს, საშუალებებს. 9. კრიკეტის მოედანი. 10. ქეჩის კარავი კონუსის ან ნახევარსფეროს მოყვანილობისა. 12. დაშლა, დაყოფა, დაქუცმაცება, გაბნევა ანუ? 13. სავაჭრო ან სამრეწველო საწარმო, რომლის მარკითაც იყიდება საქონელი ან გამოდის ნაწარმი. 17. შენობაში ამოყვანილი ღია აივანი. 20. ოფიცრის პირველი ჩინი რევოლუციამდელ რუსეთში. 21. ქიმიური ელემენტი, მოვერცხლისფრო ლითონი. 22. უკრაინაში: სახალხო მომღერალი. 23. აქროლადი ნივთიერებების კონცენტრირებული ხსნარი. 25. სისხლძარღვი. 26. ფეხბურთელის სათამაშო ფეხსაცმელი. 27. გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯის" მოქმედი პირის სახელი. 28. რიცხვი. 30. მუსულმანთა ღმერთი. 31. გზა, რომელსაც გადის გემი, თვითმფრინავი, ავტობუსი და სხვა. 32. წონის საზომი ერთეული. 35. თვე. 36. გამის პირველი ძირითადი ბგერა. 40. მაჰმადიანთა რელიგია, მუსულმანობა. 41. შიში სიახლის, ცვლილებების წინაშე, უძრაობა, ჩამორჩენილობა. 44. თეთრი ბოჭკოვანი მინერალი, რომელიც არ ატარებს სითბოსა და ელექტრობას.

ლაბირინთი

–წადი! – უთხრა დარაჯმა პატიმარს, – თუ ამ ლაბირინთს გააღწევ და მეორე კარში გახვალ, ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილხარ დაბადებული. თუ გზა დაგებნა და უკან დაბრუნდი, შენს თავს დაებრალე. ტყვე ლაბირინთში შევიდა. ლაბირინთის ჭერი ორმეტრანახევარი იყო. პატიმარს არც ძაფი ჰქონდა, არც მარცვლები, არც კენჭები, რომ გავლილი გზა მოენიშნა.



ეკვატორის გასწვრივ

თვითმფრინავი აფრინდა ეკვატორზე მდებარე პუნქტიდან, გაჰყვა ეკვატორს და დედამიწას აღმოსავლეთიდან დასავლეთით შემოუარა. მფრინავი ზუსტად მზის ამოსვლისას აფრინდა და მხოლოდ დღისით მიფრინავდა ხოლმე. მზე ჩავიდოდა თუ არა, დაფრინდებოდა და ისვენებდა. რა სისწრაფე ჰქონია თვითმფრინავს, თუ იგი საწყის პუნქტში მერვე დღეს, მზის ჩასვლისას მოფრინდა? (ეკვატორის სიგრძე, როგორც იცით, 40 000 კილომეტრია. თვითმფრინავის სისწრაფე მუდმივი ვიგულისხმოთ).

საქართველოს მოძველი



თბილისის 192-ე საშუალო
სკოლა, I კლასი,
სულმბრძანელი
ლია ნაცვლიშვილი

თბილისის 192-ე საშუალო
სკოლა, I კლასი,
სულმბრძანელი
ვენერა ფეიქრიშვილი

თბილისის 192-ე საშუალო სკოლის შემოქმედები

b 65/10

1. საახალწლო ნუგბარი, თაფლში მოხარშული, წვრილად დაჭრილი ნიგოზი.

2. პირი, რომელიც პირველად შედის ოჯახში და ახალი წლის დადგომას ულოცავს.

3. მცენარეზე და სხვა საგნებზე წიწვივით შეყინული ორთქლი.

5. სხვადასხვა ფერის, ქაღალდის წვრილი რგოლები, რომელთაც თავზე აყრიან ერთმანეთს მეჯლისებსა და ჯარნავალებზე.

6. ფულის უყაირათოდ ხარჯვა.

11. საშობაო თოვლის პაპა ინგლისსა და ა.შ.შ-ში.

12. ითაჯის მეფე, ოდისევსის მამა.

15. რას უწოდებენ ახალ წელს გურიაში.

4. ტაძარი, რომლის ერთ-ერთ ჯედელზე შემორჩენილია თამარ მეფის ფრესკა.

7. ატმოსფერული ნალექი.

8. შობის წინა ღამეს მისალოცად ჯარდაჯარ სიარული და მღერა.

9. დაბა ბაჯურიანის ახლოს.

10. მაღალი ძელი.

13. თოვლის ფიფქი.

14. ჯალენდარული წლის პირველი თვე.

16. საზამთრო ჯურორტი საქართველოში.